

გრეგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

გიორგი აფციაური

Giorgi Aptsiauri

მასმედია, როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება ინფორმაციულ საზოგადოებაში
(საქართველოს მაგალითზე)

Mass media, as a means to achieve a political goals in the information society (on the example of Georgia)

საგანმანათლებლო პროგრამა: პოლიტიკური ფილოსოფია

Educational programme: Political Philosophy

დისერტაცია წარდგენილია ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

Thesis is presented for obtaining of the PhD Degree in Philosophy

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2024

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი აფციაური

მასმედია, როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება ინფორმაციულ საზოგადოებაში
(საქართველოს მაგალითზე)

საგანმანათლებლო პროგრამა: პოლიტიკური ფილოსოფია

დისერტაცია წარდგენილია ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2024

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ - ხელმძღვანელი:

მიხეილ გოგატიშვილი, პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში, თბილისი, ირინა ენუქიძის №3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

სარჩევი

| | |
|--|----|
| აბსტრაქტი | 1 |
| ლიტერატურის მიმოხილვა..... | 5 |
| მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა | 15 |
| ქართული მედიასივრცის კვლევის შედეგები..... | 16 |
| წინასაარჩევნო კვლევა..... | 18 |
| განსჯა და მეცნიერული მიგნებები | 21 |
| დასკვნა..... | 27 |

აბსტრაქტი

კვლევის აქტუალობა. ჩვენი დისერტაციის ძირითადი საკვლევი ობიექტია – მასმედია, როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება ინფორმაციულ საზოგადოებაში (საქართველოს მაგალითზე)“.

პოლიტიკური ფილოსოფიის მნიშვნელოვანი პრობლემა ადამიანის პოლიტიკურად აზროვნების პრინციპი, ამ თვალსაზრისით პოლიტიკურად აზროვნების ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ხატებით და იკონური ნიშნებით აზროვნება, რომელიც ჩვენი გამოკვლევის არსებითი ღერძია. თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც კვლევის პროცესში თვალსაჩინო ხდება კვლევის არქიტექტონიკის კომპლექსური პრობლემის შესახებ, რომელიც მასმედიისა და პოლიტიკური იკონოგრაფიის სისტემაში პოულობს გამოხატულებას. აქედან გამომდინარე, ერთმანეთს უკავშირდება მასმედიის, ინფორმაციული საზოგადოებისა და პოლიტიკური მიზნების ცნებები, რომლებიც თავიანთ სისტემურ ერთობლიობას პოლიტიკურ მოქმედებასა და აზროვნებაში ავლენს. პოლიტიკური აზროვნება ყოველთვის და ყოველ წუთს მიზანზე ორიენტირებული მოქმედებაა (მაქს ვებერი). მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკური აზროვნების სპეციფიკა მოითხოვს განსაკუთრებული ტიპის დაშვებებს. კერძოდ, ის უკავშირდება რელიგიური აზროვნების სპეციფიკურ კომპონენტს - იკონოგრაფიულ აზროვნებას (აზროვნებას ხატებით). მაგრამ, ჩვენი თვალსაზრისით, პოლიტიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელია რელიგიური იკონოგრაფიის პოლიტიკურ იკონოგრაფიაში ტრანსფორმირება, სადაც რელიგიურ ხატს ანაცვლებს პოლიტიკური მოვლენის ხატი. საზოგადოების კონტექსტში მედიის ტექნიკური საშუალებებით პოლიტიკური იკონოგრაფია მასობრივად რეპროდუცირდება (ვალტერ ბენიამინი), ამიტომ პოლიტიკური იკონოგრაფია რელიგიური იკონოგრაფიის ჩანაცვლებას ცდილობს. ქართული საზოგადოების რელიგიურ იკონოგრაფიაზე დამყარებული საყოველთაო დისკურსის, ნარატივისა და ამავდროულად პოლიტიკური იკონოგრაფიის გამოყენებით, პოლიტიკოსების ხატად და მხსნელად ქცევის პრაქტიკიდან გამომდინარე, თემა უაღრესად აქტუალურია პოლიტიკური აზროვნებისა და პოლიტიკური ფილოსოფიისათვის. ამასთან, ჩვენი პროექტის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, რომელიც პოლიტიკური აზროვნების ფენომენს უკავშირდება. სწორედ ამიტომ, პოლიტიკური აზროვნების ფენომენური პრინციპებიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში წარმოიშვა იკონოგრაფიული პრინციპებით აზროვნების შესწავლის აუცილებლობა. ამის გათვალისწინებით დისერტაციაში ერთ - ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს იკავებს იკონოგრაფიული ანალიზის მეთოდოლოგიური აპარატის გამოყენება. მეორე კომპონენტი არის საველე სოციოლოგიური სამუშაოები, რომლებიც საზოგადოების განწყობებს შეისწავლის. ველზე ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოკითხული 500 რესპოდენტიდან უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს იმ პოლიტიკურ ლიდერს, რომლის პოლიტიკური იკონოგრაფია დაფუძნებულია ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. ეს იყო ფარული ანკეტირების პრინციპი, სადაც კვლევის მიზანი იყო, თუ რამდენად მოქმედებს იკონოგრაფიული სტრუქტურა პოლიტიკური მიზნის მიღწევაზე. ჩატარებული კვლევის საფუძველზე გავიაზრეთ საზოგადოებისთვის სასურველი პოლიტიკური ლიდერის იკონოგრაფიული ხატის მნიშვნელობა და როგორ მოქმედებს ის პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებებზე. პოლიტიკაში მთავარ პოლიტიკურ პროდუქტს წარმოადგენენ ის პოლიტიკოსები, რომელნიც საკუთარ თავს ქმნიან კონკრეტული საზოგადოებისთვის, ხოლო საზოგადოების მოთხოვნა პოლიტიკოსებზე მაშინ იზრდება, როდესაც იგი მათ სათანადოდ გაიცნობს. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, თანამედროვე მსოფლიოში, პოლიტიკისთვის ან პოლიტიკოსებისთვის უმნიშვნელოვანესია საკუთარი პოლიტიკური იკონოგრაფიის შექმნა/ჩამოყალიბება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზოგადოებაზე სასურველი გავლენის მისაღებად გამოიყენება მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმა და საშუალება - პერსონალური, სოციალური, ვიზუალური, რიტორიკული, აუდიო, სატელევიზიო და ა.შ. თუმცა პოლიტიკოსებისგან იკონოგრაფიული სახის შექმნის გარეშე მათი გამოყენება არ არის შედეგის მომტანი. პოლიტიკოსების პოლიტიკური იკონოგრაფიის ნარატივი აღწევს და ხშირ შემთხვევაში რჩება საზოგადოების მეხსიერებაში. გარკვეულწილად, სწორედ ეს განაპირობებს საზოგადოების გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირონ იმ პოლიტიკოსს, რომელიც იმ პოლიტიკური იკონოგრაფიის გმირია, რომელიც უკეთესად არის მორგებული ამა თუ იმ საზოგადოების ნარატივზე, საზრისსა და საყოველთაო დისკურსზე. მსგავსად მსოფლიოს სხვადასხვა ერისა და სოციუმისა, საქართველოშიც დღესდღეობით აქტუალური თემაა პოლიტიკოსისგან პოლიტიკური ხატის შექმნა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენი საკვლევი თემის აქტუალობას. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის პროცესში, საკვლევ სუბიექტებთან მიმართებაში სრულად იყო დაცული

ეთიკური ნორმები და კვლევის პრინციპები. ამასთან ერთად, კვლევის ეთიკა სრულიად თანხვედნილია დისერტაციის კვლევის მიზანთან. დისერტაციას აქტუალობას სძენს ის ფაქტიც, რომ ამ მეთოდოლოგიით პოლიტიკური მიზნის მიღწევის იკონოგრაფიული ანალიზი საქართველოში ჯერ არ გაკეთებულა.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია ქართული პოლიტიკური იკონოგრაფიკის საფუძველზე გაიშიფროს პოლიტიკური შინაარსის მქონე ინფორმაციის მიღების მექანიზმის კოდირება - დეკოდირების სტრუქტურა. რის საფუძველზედაც დადგენილი იქნება, თუ როგორ ყალიბდება პოლიტიკური აგენტებისა და მედიის მიერ კონტენტები (კოდირება - პოლიტიკური იკონოგრაფიული ხატების შექმნა), და როგორ რეაგირებს ამ იკონოგრაფიაზე ქართული საზოგადოება (დეკოდირება). ამ საფუძველზე გაანალიზებული იქნება, თუ როგორ კონსტრუირდება მედიის საშუალებით ქართულ საზოგადოებაში პოლიტიკური გადაწყვეტილებები და წინასაარჩევნო განწყობები. მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური იკონოგრაფიკის გაანალიზება ერთი საკითხია და თუ როგორ კონსტრუირდება მედიის საშუალებით ქართულ საზოგადოებაში პოლიტიკური გადაწყვეტილებები და წინასაარჩევნო განწყობები იკონოგრაფიის საფუძველზე, ეს მეორე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი იკონოგრაფიული ხატების გაანალიზება ხდება საკუთრივ პოლიტიკურ მოვლენათა უშუალო დაკვირვების პროცესში. კვლევის დასახული კონტექსტი იკონოგრაფიულ ანალიზს მოითხოვს. პირველ რიგში ვითვალისწინებთ, ანალიზური ფილოსოფიის დიდ ტრადიციას პოლიტიკურ ფილოსოფიაში, რომელიც პოლიტიკური გამოთქმებისა და შინაარსის ანალიზით არის დაკავებული, მაგრამ ჩვენს ინტერესს პოლიტიკური ხატებით მეტყველება წარმოადგენს, რომელშიდაც არ არის გამოთქმული პოლიტიკური მიზნის ვერბალური შინაარსი, მაგრამ არავერბალური გზით მისი შინაარსი ფსიქომოციონალურ დონეზე აღქმადია. ამ საკითხის კვლევა ჩვენ მიერ ქართული პოლიტიკური აზროვნების იკონოგრაფიულ ანალიზშია განხორციელებული. ჩვენ ამ მიზნის მისაღწევად სტიუარტ ჰოლისა და გროისის მიერ დამუშავებულ იკონოგრაფიული ანალიზის მეთოდოლოგიას მივყევით.

ასევე ჩვენი მიზანია ჩატარებული კვლევის საფუძველზე დავადგინოთ ინფორმაციულ საზოგადოებაში მასმედიის საშუალებით როგორ მიიღწევა პოლიტიკური მიზნები. საქართველოს მედიასივრცის ანალიზის საფუძველზე მედიასაშუალებები პოლიტიკური მიზნის მიღწევისთვის ქმნიან თუ არა სპეციალურ საზრისს. მსოფლიო საზოგადოების კომუნიკაციური ინტეგრაცია მხოლოდ მასობრივი მედიების საშუალებით არის შესაძლებელი თუ არა. იდეები და იდეოლოგიები ადამიანებს რელიგიის ცნებამდე როგორ აჰყავთ და იდეოლოგიას რელიგიას როგორ უთანაბრებენ. ვიდრე მედია გამოჩნდებოდა ადამიანების ცხოვრებაში, პოლიტიკურ - იკონოგრაფიული ხატებისა და სიმბოლოების შესაქმნელად რა მეთოდი გამოიყენებოდა. როგორც საქართველოში, ისე უცხოეთის ქვეყნებში არის თუ არა პოლიტიკოსის იკონოგრაფიული ხატის შექმნა თითქმის რელიგიური ხატის სტრუქტურის ანალოგიური. ქართულ - უცხოურ საზრისებში გმირის ნარატივს როგორი ისტორია აქვს. დამოუკიდებელი მედიის ფინანსების სიმცირემ, შეიძლება თუ არა გამოიწვიოს გამოცემათა ამა თუ იმ პოლიტიკურ ან ბიზნეს - დაჯგუფებასთან ალიანსი. პოლიტიკური ჯგუფების დღის წესრიგთან მედიისა და მედიის თანამშრომლების ჰარმონია, არის თუ არა დემოკრატიის ნაწილი და რა განსხვავებაა დღის წესრიგსა და სიტყვის თავისუფლებას შორის.

კვლევის ამოცანები . დასახული მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანებია:

- ✓ საველე სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით ქართული საზოგადოების წინასაარჩევნო განწყობების შესწავლა;
- ✓ ქართულ მედია სივრცეში არსებული პოლიტიკური იკონოგრაფიის შესწავლა;
- ✓ ქართულ პოლიტიკაში არსებული იკონოგრაფიების შესწავლა და პოლიტიკურ იკონოგრაფიულ ხატებზე ქართული საზოგადოების რეაგირების დადგენა;
- ✓ მედიის მიერ კოდირებული იკონოგრაფიული ხატისა და მისი აღმქმელების (დე-კოდირებლების) ქცევის გაანალიზება;

- ✓ პოლიტიკურ - იკონოგრაფიული ხატების შედეგად პოლიტიკური მიზნის მიღწევის გზების ჩვენება;
- ✓ მასობრივი კომუნიკაციების, იკონოგრაფიისა და პოლიტიკის ინტერკომუნიკაციის შესწავლა და მათ მიერ პოლიტიკური ხატებისა და გამიერების შექმნის სტრატეგიის განსაზღვრა ინფორმაციულ საზოგადოებაში.

ჰიპოტეზა. საკვლევი თემის ჰიპოტეზას წარმოადგენს: პოლიტიკური მიზნის მიღწევისათვის პოლიტიკური აგენტები იკონოგრაფიკის საშუალებით მასობრივი მედიის რეპროდუცირების მექანიზმს იყენებენ (ხატების, ფრაზების, ასოციაციების, მელოდიების და ა.შ.), სახელდობრ მასობრივ ცნობიერებაზე მოახდინონ ზეგავლენა იმისათვის, რომ მოიპოვონ სახელისუფლებო და პოლიტიკური ჰეგემონია. იკონოგრაფიული ხატის შექმნა/გამოყენება შესაძლებელია კონკრეტულ დროში სპეციალურად კონკრეტული გამტარებისათვის. ამ პროცესში იმავდროულად ხდება აღმქმელის შექმნა და გამოყენებაც. ამ თვალსაზრისით ჰიპოტეზაში ჩამოყალიბებულია უნივერსალური პრინციპი, რომელიც ყველა თანამედროვე საზოგადოებაში ფუნქციონირებს. კერძოდ ეს არის ბოროტებასთან ბრძოლის და გამარჯვების სიმბოლური იკონოგრაფია. „ქართული კულტურული გამოცდილებიდან გამომდინარე, პოლიტიკური აგენტები პოლიტიკური მიზნის მისაღწევად იყენებენ პოლიტიკურად ტრანსფორმირებულ - გარდასახულ ქრისტიანულ იკონოგრაფიას.

იმისთვის, რომ დაგვედასტურებინა მედიის გამტარიანობის დიდი მნიშვნელობა ინფორმაციულ ველზე, გამოვიყენეთ მასალები კვლევებიდან ბაქრაძე ლ., დანელია ნ., თორია ზ., ქეშელაშვილი ა., ცომია თ. 2008. კვლევა: რუსეთ საქართველოს ომის გაშუქება უცხოურ მედიასაშუალებებში . თბილისი. კვლევა წარმოადგენს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ერთ - ერთ სალექციო კურსს, კვლევა ჩატარებულია რუსეთ - საქართველოს ომის დროს მიმდინარე საინფორმაციო ომზე და მიმოხილულია უცხოური მედიასაშუალებები. აღნიშნულ კვლევაში მასობრივი მედია წარმოჩენილია, როგორც ინფორმაციის მთავარი გამტარი და პოლიტიკურ ველზე არსებული სიტუაციის გზავნილების შუამავალი საზოგადოებრივ საზრისებამდე. ასევე ადამიანების ზოგად ინფორმაციულ აღქმაზე ზეგავლენების გამოსავლენად, ჩვენი მხრიდან, განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ნაშრომმა ბენიამინი ვ., 2013. ხელოვნების ნაწარმოები მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში. თბილისი: არაკომერციული გამომცემლობა -საგა-. ბენიამინი სწორედ ისეთ ტექნოლოგიურ განვითარებაზე დაყრდნობით ვარაუდობს საზოგადოების კომუნიკატური გარდაქმნის შესაძლებლობას, როგორც კინოს ჩამოყალიბება მასობრივ მედიუმად. მის მიერ აღწერილი ძვრები ხელოვნებასა და მთლიანად საზოგადოებაში, რასაც იგი თავს უყრის აურის ცნებაში და ნაწარმოებების ტექნიკური რეპროდუქციის შედეგად მის დაკარგვას აანალიზებს, დღეს უფრო აშკარაა. ხელოვნების ნაწარმოებს ისტორიულად მისი ტექნიკური კლავწარმოების საშუალებებით გაუქრა ავთენტურობა, წერს ბენიამინი. სამაგიეროდ, მან მოიპოვა რეცეფციის ახალი ფორმა. ის გახდა ხელმისაწვდომი მასობრივი მაყურებლისთვის, ამავე დროს, მან შეიძინა დოკუმენტური ხასიათიც. ბენიამინი მიუთითებს იმ კავშირზე, რომ ხელოვნების ნაწარმოები საზოგადოებრივი ურთიერთობების, მაშასადამე, ისტორიული დროის გამრღვევი გამოხატულება უნდა იყოს, თუკი ის უნდა შეიცავდეს ჭეშმარიტებას კაცობრიობის დანაშაულის კონტექსტში ჩახლართულობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ხელოვნების ნაწარმით შესაძლებელია ადამიანებზე ზემოქმედება, როგორც საზოგადოებრივ, ასევე პოლიტიკური გადაწყვეტილების პროცესში. ჩვენთვის საინტერესოა მასობრივი მედიაკონტენტების გაანალიზება, რომელი კონტენტების ნაწილიცაა კინო, ან თავად კინოში არსებული ხელოვნების პროდუქტები. ნაშრომში პოლიტიკური იკონოგრაფიის წარმოსაჩენად საჭირო გახდა სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურის ბიოგრაფიის შესწავლა, აღნიშნული ბიოგრაფიებიდან ერთ - ერთი არის ბერძენიშვილი გ., 2006. სტალინი - პერმანენტული გამარჯვებების ღმერთი. გორი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლოთეკა. გივი ბერძენიშვილის წიგნი სტალინზე, როგორც თავად მიუთითებს, „ნამდვილი ბიოგრაფია,- დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ იგი დოკუმენტურ მასალებს ეყრდნობა და საფუძვლიანი გამოკვლევაა იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეტაპებზე. წიგნი არსებულ მასალებზე დაყრდნობით, გარდა ბიოგრაფიისა, წარმოჩენილია სტალინის, როგორც საზოგადოებისთვის მიუწვდომელი პერსონის, გარშემო არსებული საზოგადოებრივი დისკურსები. იმისთვის, რომ კვლევაში დაგვესაბუთებინა მასობრივი მედიის როლი ქართულ საზოგადოებრივ საზრისზე ზეგავლენის მოხდენის მხრივ, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გამოგვეყენებინა კვლევა ბოკერია გ., თარგამაძე გ., რამიშვილი ლ., 1997. 90 - იანი წლების საქართველო - ნაბიჯი თავისუფლებისაკენ. გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა. სახელმძღვანელოში ავტორების მიერ მოკვლეულია, 90 - იანი წლებიდან დღემდე, ქართული მედიის განვითარების ტენდენციები, გამოწვევები და პრობლემები, ასევე დასაბუთებულია ხელისუფლებისგან მედიაზე ზეწოლის მაგალითები, რაც მნიშვნელოვანია ინფორმაციული ველის შესწავლისთვის, რადგან ინფორმაციული ველი განაპირობებს პოლიტიკური ველის გაანალიზების წინაპირობებს. კვლევის მიმდინარეობის პროცესში საჭირო გახდა შეგვესწავლა მედიაბაზრის მდგომარეობა, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში, მედიაბაზრის მდგომარეობის გაანალიზებისთვის საჭირო ლიტერატურიდან ერთ - ერთი გახლავთ ცისკარიშვილი ო., 2014. მედიაში სოციალური საკითხების გაშუქების ელემენტები. თბილისი: უნივერსალი. ავტორის მიერ დასაბუთებულია ჟურნალისტიკაში - ჟურნალისტური ეთიკის კოდექსის პატივისცემის აუცილებლობა, განხილულია უცხოური მაგალითი ჟურნალისტების ქცევაზე რესპოდენტებთან და ზოგადად რესპოდენტების უფლებებსა და სიუჟეტის დამახინჯების შემთხვევაში რაიმე სადამსჯელო ზომების არსებობის აუცილებლობაზე. აღნიშნული მასალებით შესაძლებლობა გვეძლევა დავადგინოთ, როგორი შეიძლება იყოს ჯანსაღი კონკურენტული საარჩევნო კამპანიები. ზემოაღნიშნული ბიოგრაფიებიდან ერთ - ერთი დალაი ლამა მენაბდე ნ.-ის თარგმანი. 2013. დალაი ლამა., (ავტობიოგრაფია) თბილისი: ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. წიგნი არის

ავტობიოგრაფიული და დალაი ლამა სწორედ ასე, როგორც უბრალო ბერი, სთავაზობს მკითხველს თავისი ცხოვრების ისტორიას, თუმცა ეს წიგნი სულაც არ არის ბუდიზმის შესახებ. საამისოდ ორი მთავარი მიზეზი აქვს ავტორს: პირველ რიგში, სულ უფრო მეტი ადამიანი იჩენს ინტერესს, გაიგოს რამე დალაი ლამას შესახებ; მეორე - ავტორს სურს, გარკვეული ისტორიული მოვლენების შესახებ მოგიტხროთ, როგორც უშუალო მოწმე. სწორედ ამიტომ პოლიტიკურ - იკონოგრაფიული ხატების კვლევისთვის მიზანშეწონილად მივიჩნით ამ წიგნის გამოყენება. მედიაბაზრის მდგომარეობის გაანალიზებისთვის საჭირო ლიტერატურიდან ერთ - ერთია დარსაველიძე მ., ვეკუა მ. - **2013**. ჟურნალისტიკა. თბილისი: გთსუ. ავტორების კვლევის შედეგად სახელმძღვანელოში ასახულია ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპები, პრესის განვითარება, ვიზუალური ჟურნალისტიკა, ფოტო ჟურნალისტიკა, რადიო ჟურნალისტიკა და ა.შ. ასევე წიგნში გაანალიზებულია მსოფლიო მედიაინდუსტრია და მასობრივი მედიის მონდელიზაციის პროცესი, რაც ინფორმაციას გვაწვდის მსოფლიოში არსებული საინფორმაციო ველის შესახებ და ამ ველზე არსებული ინფორმაციული საზოგადოების მედიასაშუალებების მიმართ წვდომაზე. ზემოაღნიშნული ბიოგრაფიებიდან ერთ - ერთი დაუშვილი ა., 2017. ლენინი. თბილისი: პალიტრა. წიგნი არის ლენინის შესახებ და მის მიერ ორგანიზებულ რევოლუციაზე, თუმცა, როგორ? რა მეთოდებით? რა საშუალებებით? ვისი დახმარებით? რა შედეგებით? სწორედ ამ კითხვაზე შესაძლო ლოგიკური პასუხების გაცემის მოკრძალებული მცდელობა გახლავთ, ავტორის აზრით, მის მიერ შემოთავაზებული წიგნი. გარდა ამისა, არსებული მასალები საინტერესოა ლენინის, როგორც მიუწვდომელი პოლიტიკური ფიგურის იმიჯების გამოსავლენად. მედიაბაზრის მდგომარეობის გაანალიზებისთვის საჭირო ლიტერატურიდან ერთ - ერთია იან ლებლან ლუქსი, არკანზასის უნივერსიტეტი, ჯორჯ სილვი, ტენასის ოსტინის უნივერსიტეტი, სი ანა ჰოლიფილდი, ჯორჯიის უნივერსიტეტი, შტეფან ლეისი, მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არდიტ ბროდრიკ სონი, სემ ჰიუნსტონის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელშემწყობი ავტორი - დოქტორი ანჯელა ჰაუერსი, ჩრდილოეთ ილინოისის უნივერსიტეტი. 2004. მედია მენეჯმენტი. ლონდონი: დიოგენე (დაბეჭდა და აკინდა). სახელმძღვანელო არის ინგლისური და შემდგომ გამოიცა ქართულ ენაზე, ავტორების მიერ მოკვლეულია მედიის თანამედროვე მიდგომები და კადრების მართვის მეთოდები მედიასაშუალებებში. ლიტერატურაში მოყვანილია მაგალითები მედიასაშუალებების იერარქიული სტრუქტურებისა და ამავდროულად მედიის სამართავი გუნდის ჩამოყალიბების პროცესისა, რაც უმნიშვნელოვანესია მედიასაშუალებებისთვის. წიგნი მნიშვნელოვანწილად აიოლებს დაადგინოს საინფორმაციო ველზე არსებული ან არარსებული უკუკავშირები, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკური ველის მდგომარეობას. ასევე, მედიაბაზრის მდგომარეობის გაანალიზებისთვის საჭირო ლიტერატურიდან ერთ - ერთია იმნაიშვილი ნ. 2009. ეფექტური მენეჯმენტი და PR რადიოსა და ტელევიზიაში. თბილისი: გამოცემულია ავტორის ხარჯზე. სახელმძღვანელოში ავტორის მიერ დასაბუთებულია მედიის ძლიერი გავლენა საზოგადოებაზე, ამავდროულად ყურადღება გამახვილებულია მედიის დიდ მნიშვნელობაზე პოლიტიკოსების იმიჯის შექმნაში. მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური ხატის ჩამოყალიბება ადამიანურ საზრისებში დამოკიდებულია ადამიანების კულტურაზე და რელიგიაზე, ამიტომ ნაშრომში გამოვიყენეთ კვლევები, რომელშიც გაანალიზებულია რელიგიურ - კულტურულ - ფსიქოლოგიური საზრისის ჩამოყალიბების პროცესი, აღნიშნულ კვლევათაგან ერთ - ერთია იუნგი კ.გ., ფსიქოლოგია და რელიგია პასუხი იოზს. დიოგენე. ავტორის მიზანი, როგორც ჩანს, ის იყო, რომ საბუნებისმეტყველო, ფილოსოფიისა და მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენლებს შეძლებოდათ, ემსჯელათ რელიგიაზე. რა შეუძლია ფსიქოლოგიას რელიგიის შესახებ გვამცნოს? რელიგია, უდავოდ, ადამიანის სულის ერთ - ერთი უძველესი და უნივერსალური გამოხატულებაა, ამიტომ თავისთავად ფსიქოლოგიის ის დარგი, რომელიც პიროვნების ფსიქოლოგიურ სტრუქტურას შეისწავლის, გვერდს ვერ აუვლის იმას, რომ რელიგია არა მარტო სოციოლოგიური და ისტორიული ფენომენია, არამედ მრავალთათვის-ძალზე მნიშვნელოვანი პიროვნულადაც. ამიტომ სახელმძღვანელო გამოვიყენეთ საზოგადოების საზრისების კვლევისთვის. აღნიშნული ლიტერატურით შესაძლებელია წარმოჩენა რელიგიური ნიშნებისა, თუ წარმოდგენებისა ტრანსფორმაციის პოლიტიკურ საზრისებში. რელიგიურ - კულტურულ - ფსიქოლოგიური საზრისის ჩამოყალიბების პროცესის წარმოსაჩენად, ზემოაღნიშნულ კვლევათაგან ერთ - ერთია ფროიდი ზ., 2014. ფსიქოანალიზი. თბილისი: სიახლე. ავტორის მიზანია, ცოტათი მაინც მოჰყვინოს ნათელი, რა სახის დაპირისპირება არსებობს პრაქტიკულ ფსიქოლოგიასა და რელიგიას შორის. წიგნის პირველი თავი პრაქტიკული ფსიქოლოგიისა და რელიგიასთან მისი დამოკიდებულების ერთგვარი შესავალია. მეორე თავი იმ ფაქტებს განიხილავს, რომლებიც არაცნობიერში რელიგიური ფუნქციის არსებობას ადასტურებს. მესამე თავში კი - არაცნობიერი პროცესების რელიგიურ სიმბოლიკას. გამოცემა საშუალებას გვაძლევს მშობლიურ ენაზე გავეცნოთ

ფსიქოანალიზის საინტერესო თეორიასა და პრაქტიკას. რა თქმა უნდა, სხვადასხვა ორიენტაციის მეცნიერული მიმართულების გარკვეული ასპექტები კრიტიკულადაა განწყობილი ცნობილი პრობლემების ფსიქოანალიზური გადაჭრის მიმართ, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ადამიანის რაობის პრობლემის გაანალიზების საქმეში ფსიქოანალიზური თეორია გარკვეულ დახმარებასაც გვიწევს. წინამდებარე კრებულში გვხვდება ზოგიერთი იმ ნაწარმოების თარგმანი, რომლებიც, ვფიქრობთ, ყველაზე უფრო პასუხობს მიზანს - მკითხველთა ფართო წრეს მისცეს საშუალება გაეცნოს ფსიქოანალიზის თეორიასა და გამოყენებით ასპექტს [ფსიქოთერაპიას], ფსიქოანალიზის აღმოცენებისა და მისი რამდენადმე საბოლოოდ ჩამოყალიბების ისტორიას. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ფსიქოლოგიურ - რელიგიურ წარმოდგენებზეა დამოკიდებული ადამიანების განწყობების მართვა პოლიტიკურ და საინფორმაციო ველზე. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური პერსონის ან პლატფორმის ამომრჩეველის აღქმაზე მოქმედებს არავერბალურ - ვერბალური კომუნიკაცია, ამათგან ერთ ერთის გამოსავლენად საჭირო გახდა შემდეგი კვლევა გაფრინდაშვილი ნ., 2015. რიტორიკის შესავალი. თბილისი: ნეკერი. დასაბუთებულია ავტორის მიერ ორატორული მონაცემების და რიტორიკის ცოდნის საჭიროება პოლიტიკოსისთვის, რადგან მედიასაშუალებით საზოგადოებაზე ზეგავლენის მოსახდენად რიტორიკაც და ორატორული მონაცემებიც მნიშვნელოვანია. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ ორატორულ ხელოვნებაზეა დამოკიდებული ვერბალური კომუნიკაციის გზით საზოგადოებამდე ინდივიდებისა თუ ინტერესთა ჯგუფების მიერ გზავნილების ეფექტური გამტარიანობის ხელშეწყობა. არსებობს სახელმწიფოები, სადაც პოლიტიკური პიარისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ იდეოლოგიებს, რადგან პოლიტიკური პროდუქტის ყველანაირი მარკეტინგული შეფუთვა: იმიჯები, სფიჩები, სხეულის ენა, დამოკიდებულია საზოგადოების კულტურულ საზრისზე მორგებული იდეოლოგიებით, ამიტომ ჩვენთვის კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი გახდა ნაშრომი გოგატიშვილი მ. 2003. ლექციები პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში. თბილისი. ლექციების კურსი „პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში- მოგვიტხოვს პოლიტიკური მეცნიერებისათვის ისეთ ბაზისურ კატეგორიებზე, როგორებიცაა: ხელისუფლება და მისი მიმართება პოლიტიკურ თეორიასთან. წიგნის მიზანია, წარმოაჩინოს ძალაუფლების არსებითი ნიშნები, როგორც ნებელობითი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც განისაზღვრებიან ძალაუფლებითა და ავტორიტეტით, დარწმუნებითა და იძულებით, მართვითა და ბატონობით, ძალაუფლებითა და გავლენით, პოლიტიკური ხელისუფლებითა და სახელმწიფო მმართველობით. პოლიტიკური ხელისუფლების განხილვისას, პირველ ყოვლისა, ავტორი ეხება ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა მართვა და გავლენა; ხოლო პოლიტიკას განიხილავს, როგორც სახელმწიფო სტრუქტურის ერთიანი მართვის სისტემაში სხვადასხვა პარტიათა და საზოგადოებრივ ინტერესთა რეალიზაციის მცდელობას. ასევე ყურადღება ექცევა იმას, რომ ერთმანეთთან არ იყოს გაიგივებული მმართველობა და ძალაუფლება. ასევე ჩვენთვის მნიშვნელოვანია წიგნში განხილული პოლიტიკური იდეოლოგიები, რადგან, სწორედ, იდეოლოგიით ხდება საარჩევნო ველზე არსებულ ელექტორატებზე ზეგავლენა, ხოლო ზეგავლენის მთავარ მიზანს ამომრჩეველის დარწმუნება წარმოადგენს, რადგან ძალაუფლებისათვის საჭიროა საზოგადოების, იმ დღის წესრიგით მართვა, რომელიც მუდმივად არწმუნებს პოლიტიკური ხელისუფალის უნიკალურობაში. რელიგიურ - კულტურულ - ფსიქოლოგიური საზრისის ჩამოყალიბების პროცესის წარმოსაჩენად, რომელსაც თან ახლავს იკონური ნიშნები, რომელიც თვისობრივად ხელოვნების საშუალებით ვლინდება, სწორედ ამ საკითხების განსჯისთვის საჭირო კვლევათაგან ერთ - ერთია გროისი ბ., 2014. ესეები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ავტორი წიგნში განიხილავს ხელოვნებას, როგორც პოლიტიკური პროპაგანდის საშუალებას და იკონოგრაფიებს და პოლიტიკურ ხატებს, რომელებიც საზოგადოებებზე დიდ ზეგავლენებს ახდენს მაგ: თანამედროვე რევოლუციური ან სულაც, ტოტალიტარული რეჟიმები და მოძრაობებიც ძალთა ბალანსს ისახავენ მიზნად, მაგრამ მიიჩნევენ, რომ ის მხოლოდ პერმანენტული ბრძოლით, კონფლიქტითა და ომით მიიღწევა. ხელოვნება, რომელიც ძალთა ისეთი, დინამიკური და რევოლუციური ბალანსის სამსახურში დგება, აუცილებლად იძენს პოლიტიკური პროპაგანდის სახეს. ასეთი ხელოვნება ძალაუფლების რეპრეზენტანტის როლს არ სჯერდება და პირდაპირ ერთვება მისთვის ბრძოლაში, რაკი მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ასე შეუძლია ძალთა ჭეშმარიტ ბალანსს თავის გამოვლენა. აქ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ წიგნში თავმოყრილი ესეები მიზნად ისახავს ნიადაგი შეუშადაოს გარკვეულ ბალანსს თანამედროვე ხელოვნების სამყაროში - ბალანსს, რომელიც გამოათავისუფლებს სივრცეს იმ ხელოვნებისთვის, რომელიც პოლიტიკური პროპაგანდის ფუნქციას ასრულებს. მოდერნულობის პირობებში ხელოვნების ნაწარმოები იქმნება და საზოგადოებას მიეწოდება ორგვარად: როგორც პროდუქტი ან როგორც პოლიტიკური პროპაგანდის იარაღი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე დაახლოებით თანაბარი რაოდენობით შექმნილა, მაგრამ სახელოვნებო

სივრცის ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, პირველს ბევრად მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე მეორეს. ხელოვნება პოლიტიკურად ეფექტური ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბაზრის მიღმა ან მის გარეთ, უშუალო პოლიტიკური პროპაგანდის კონტექსტში იქმნება. ასე ხდებოდა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. თანამედროვე მაგალითებად შეგვიძლია ისლამისტური ვიდეოები ან ანტიგლობალისტური მოძრაობების პოსტერები მოვიხმოთ. მართალია, ასეთი ტიპის ხელოვნებას მთავრობის ან სხვადასხვა პოლიტიკურ თუ რელიგიურ მოძრაობათა ფინანსური მხარდაჭერა უმაგრებს ზურგს, მაგრამ მათი წარმოება, კატეგორიზაცია და დისტრიბუცია ბაზრის ლოგიკას არ ექვემდებარება. ამგვარი ხელოვნების ნიმუშები პროდუქტები არ არიან. განსაკუთრებით საბჭოური ტიპის სოციალისტურ ეკონომიკაში, სადაც ბაზარი საერთოდ არ არსებობს. ეს ნაწარმოებები იქმნებიან არა მომხმარებლებისთვის, რომელმაც ისინი უნდა იყიდოს, არამედ მასებისთვის, რომლებმაც ისინი უნდა შთანთქან და მათი იდეოლოგიური შიგთავსი გაიზიარონ. პოლიტიკური საკითხის ან პოლიტიკური პროდუქტის შესახებ საზოგადოების გემოვნების, მათი წინასწარი და მომავალი განწყობების დასადგენად უაღრესად მნიშვნელოვანია პოლიტიკურ - მარკეტინგული კვლევები, ამიტომ აღნიშნული საკითხის შესასწავლად გამოვიყენეთ ჟანეტ ბუტოლფ ჯონსონი, ჰ.ტ. რეინოლდსი ჯეისონ დ. მაიკოფთან ერთად. 2013. პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. წიგნის მიზანია, მოახდინოს კვლევის პროცესის ძირითადი ასპექტების ილუსტრაცია და აჩვენოს, რომ პოლიტიკის მკვლევრები ქმნიან საყურადღებო ცოდნას მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების შესახებ სწორედ იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებსაც ავტორები ამ წიგნში აღწერენ. იმისათვის, რომ ეს შეძლებისდაგვარად ნათლად წარმოჩნდეს, წიგნი პოლიტიკის მეცნიერების კვლევების რამდენიმე მაგალითის აღწერით იწყება. ეს მაგალითები პოლიტიკის მეცნიერულად შესწავლის საკვანძო საკითხებსა და დებატებს ეხმიანება. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ბიუროკრატის კონტროლის მაგალითი ახალ გამოცემაში მოიცავს კვლევას, რომელიც აჩვენებს, თუ რატომ აყალიბებს კონგრესი სააგენტოების ორგანიზაციულ სტრუქტურას ისე, რომ პრეზიდენტის მიერ სააგენტოებზე კონტროლის განხორციელება გაართულოს. და ბოლოს, ამერიკის მიერ საგარეო საქმეებში სამხედრო ჩარევის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის მაგალითი ჩანაცვლებულია ახალი კვლევით, რომელიც სამხედრო ოპერაციებში ცოცხალი ძალის დანაკარგებთან მიმართებაში საზოგადოების ტოლერანტულობას იკვლევს. ასევე, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური პიარის პრაქტიკული მაგალითებისა და კომპოზიციების განსჯა, ამიტომ ნაშრომში გამოყენებულია ჯიჯივილი ქ., ჩხიკვილი გ., 2011. პოლიტიკური პიარის ანატომია. თბილისი. წიგნში განხილულია დღესდღეობით პოლიტიკური ტექნოლოგიების ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე და სწრაფად განვითარებადი დარგის ფაბლიქ რილეიშენზის (PR) პოლიტიკური ასპექტები. პოლიტიკური პიარი ნაშრომში წარმოდგენილია „ქოლგური-ტექნოლოგიით, რომელიც შემადგენელი ელემენტების სახით მოიცავს პროპაგანდისტულ, მარკეტინგულ, საარჩევნო, იმიჯმეიკერულ, სფიჩრაითერულ, ლობისტურ და სპინ ტექნოლოგიებს. ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ - მარკეტინგული კვლევებიდან ერთ - ერთია სალექციო კურსი, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - კურტ ლანგი და გლედის ლანგი - კვლევა "ტელევიზია და მისი ეფექტების უნიკალური პერსპექტივა", კვლევა წარმოადგენს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ერთ-ერთ სალექციო კურსს, სადაც ნათლად არის აღწერილი მედიის როლი და ძლიერი გავლენა საზოგადოებაზე, კვლევის ძირითადი თემაა ერთ - ერთი ამერიკელი გენერლის ვიზიტი, რომლის დროსაც გამოიკითხნენ ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ესწრებოდნენ ვიზიტს და ადამიანები, რომლებიც ეს ყველაფერი მედიის საშუალებით იხილეს. კვლევა საშუალებას გვაძლევს წარმოჩინდეს მასობრივ მედიაში შრეებად შექმნილი რეალობის გადმოცემის არსებობა. ზემოაღნიშნული ბიოგრაფიებიდან ერთ - ერთია კიკნადე ნ. და როსტიაშვილი ქ. - ის თარგმანი. 2002. სტალინი ისტორიასა და ისტორიკოსთა შეფასებებში. თბილისი: გამოცემა დააფინანსა ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტთან არსებული ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტების არქივის ფონდმა. წინამდებარე კრებული მომზადებულია ამერიკელ, რუს და ქართველ ისტორიკოსთა საერთაშორისო პროექტის ფარგლებში თანამშრომლობის შედეგად. წიგნში შესულია უკანასკნელ წლებში გახსნილ არქივებში დაცული მასალების საფუძველზე უცხოეთში გამოქვეყნებული, ქართველი მკითხველისთვის ნაკლებად ცნობილი გამოკვლევების ფრაგმენტები სტალინისა და სტალინიზმის ფენომენის შესახებ. გამოცემის იდეა ეკუთვნის ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტთან არსებული ეროვნული უსაფრთხოების არქივის დირექტორს თომას ბლენდონს (ვაშინგტონი, აშშ). ზემოაღნიშნული ბიოგრაფიებიდან ერთ - ერთია ლევრეკვი ი., კერძევაძე ე.- ის (თარგმანი). 2013. ჩე გევარა. თბილისი: ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. მკითხველისათვის, რაღა თქმა უნდა, ცხადია, რომ წიგნში წარმოდგენილი ბიოგრაფია ჩე გევარასი -

—რომანტიზმის ეპოქის ნიმუშია. ტექსტის ავტორები რედაქტირებისას, უყოყმანოდ შეელივნენ ზოგიერთ დღეს, უკვე ანარქონიზმად ქვეულ პასაჟებს, მაგრამ არ შეხებიან კამერტონს, რომელზეც აეწყო ამ —ჰეროიკული ბიოგრაფიის პათოსი. ჩე გევარასადმი მიძღვნილი წიგნის თარგმანი არ არის მხოლოდ რომანტიკულ მკითხველთათვის, როგორც ავტორი აღნიშნავს, წიგნი რეალისტებისთვისაცაა. აღსანიშნავია, რომ დაწვრილებით არის გადმოცემული, თუ როგორ შეიქმნა ჩე - ს პოლიტიკურ იკონოგრაფიული ხატი. არსებობს მრავალი სახელმწიფოს, მრავალი საზოგადოება და ამ საზოგადოებების კულტურულ ჩამოყალიბებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია გამოვლინდეს საყოველთაო დისკურსების შექმნის საშუალებები, ამიტომ ჩავთვალეთ ერთ - ერთ ძლიერ საშუალებად წინამდებარე კვლევა ლუმანი. ნ., 2007. (გერმანულიდან თარგმნა - დუმბაძე დ.) საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია. თბილისი: არხე. ნაშრომში ნიკლას ლუმანი დამაჯერებლად აჩვენებს, რომ მსოფლიო საზოგადოების სოციალური სისტემა მასობრივი მედიის გარეშე (მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი) კომუნიკაციას ვერ შეძლებდა. დღეს ამგვარი კომუნიკაციისთვის საკმარისი ვერ აღმოჩნდებოდა მაღალი კულტურებისთვის დამახასიათებელი კომუნიკაციის ძველი ფორმები (დამწერლობა და ლიტერატურული ტრადიციები), რადგან თანამედროვე საზოგადოება მანამდე უცნობ, ძალზე სპეციფიკურ ტემპორალურ სტრუქტურებზეა აგებული. რა არის საზოგადოება? ნიკლას ლუმანი ნაშრომში საზოგადოების შემდეგ განმარტებას გვთავაზობს: საზოგადოება ყველა კომუნიკაციურად ხელმისაწვდომი განცდის და ქმედების სოციალური სისტემაა. საზოგადოების სოციალური სისტემა კომუნიკაციის პროცესებისგან შედგება და მისი ცვლილებები კომუნიკაციის სახეთა ცვლილებებზეა დამოკიდებული. მედიაზაზრის მდგომარეობის და არსებული მასკომუნიკაციური თეორიების შესასწავლად საჭირო ლიტერატურიდან ერთ - ერთია მალალურაძე თ., 2013. თანამედროვე მასკომუნიკაციური თეორიები და კონცეფციები(დამხმარე სახელმძღვანელო), თბილისი: უნივერსალი. დამხმარე სახელმძღვანელო არის ქართული და ავტორის მიერ ასახული მსოფლიოში არსებული ყველა თეორია მედიის შესახებ, სახელმძღვანელოში გამოყენებულია სხვადასხვა კვლევების შედეგები მედიის შესახებ და დასაბუთებულია მედიის გავლენის მნიშვნელობა საზოგადოებასა და შემდგომში მათ ქვევაზე. ასევე მაგალითებად მოყვანილია მეცნიერების მოსაზრებები და ციტატები მასმედიაზე და მის ძლიერ მხარეზე პროპაგანდის კუთხით. ზემოაღნიშნული ბიოგრაფიებიდან ერთ - ერთია მანდელა ნ., 2012. ნელსონ მანდელა (საუბრები საკუთარ თავთან). ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. წიგნი არის ნელსონ მანდელას შესახებ, ეს არის ისტორია ადამიანისა, რომელსაც არ ეშინოდა საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებისა იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც თავად სწორად მიაჩნდა. იმ ადამიანისა, რომელიც გულმოდგინედ მუშაობდა, რომ მსოფლიო უკეთესი გამხდარიყო. წიგნში არსებულ მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელია გამოვლენა იმისა, თუ როგორ შეიძლება ინდივიდებმა პოლიტიკურ ველზე შექმნან ახალი დღის წესრიგი. მედიაზაზრის მდგომარეობის გაანალიზებისთვის საჭირო ლიტერატურიდან ერთ - ერთია მახარაძე ი., 2006. დემოკრატიის პრინციპები თანამედროვე მედიაში. თბილისი: ხარისხის მართვის უნივერსიტეტი. სახელმძღვანელო არის განკუთვნილი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და ძირითადად აქცენტი გაკეთებულია ჟურნალისტიკასა და ინტერვიუს ხელოვნებაზე, თუმცა ასევე მოყვანილია საინტერესო მაგალითები უცხოურ მედიაზე და, კერძოდ, განხილულია მედიის ამერიკული მოდელი. ზემოაღნიშნული ბიოგრაფიებიდან ერთ - ერთია მედვედევი დ., ლეკვიშვილი გ.- ის თარგმანი. 2012. ტეტჩერი. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. წიგნში დაწვრილებით არის განხილული პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ქალი პოლიტიკოსის, როგორც პოლიტიკური კარიერა, ასევე მისი ცხოვრებისეული ასპექტები. წიგნში მოყვანილია მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ იქმნიდა პოლიტიკურ იმიჯებს პოლიტიკოსი, რომელსაც მომავალში რკინის ლედი ეწოდა. წიგნში ერთად არის გადმოცემული ქალის, როგორც მეოჯახე და როგორც ძალაუფლების მქონე ქალის იმიჯები. ზემოაღნიშნული ბიოგრაფიებიდან ერთ - ერთია მონტევიორე ს. ს., 2012. სტალინი, წითელი მეფის კარი. თბილისი: ბაკურ სულაკაური. ავტორის თქმით, ამ წიგნის გამოცემაში უამრავი ადამიანი დაეხმარა მოსკოვიდან, სანქტ-პეტერბურგიდან და თბილისიდან დაწყებული, დონის როსტოვითა და ბუენოს აირესით დამთავრებული. ავტორის მიზანი იყო, შეძლებისდაგვარად მარტივად აღწერა სტალინის პორტრეტი, მასთან ერთად - მისი ოცამდე უახლოესი თანამებრძოლი და მათი ოჯახები; როგორ ცხოვრობდნენ ისინი გარემოში, რომელშიც თითოეულს განუზომელი ძალაუფლება ჰქონდა. წიგნში აღწერილია მოვლენები 1929 წლიდან, მაშინ, როცა სტალინი საბჭოეთის უპირველესი ლიდერი გახდა, 1953 წლამდე - მის გარდაცვალებამდე. წიგნის ავტორის მიზანი იყო შეესწავლა სტალინი, როგორც „ენიგმა“, „შემლილი“ და „სატანური ძალის მქონე გენიოსი“ - როგორც ხშირად ახასიათებენ

ხოლმე ბიოგრაფები, მისივე თანამებრძოლების აზრით კი - „უბიოგრაფიო კაცი“, რაც საკმაოდ რთული საქმე აღმოჩნდა. ამ წიგნის დასაწერად უამრავი ახალი არქივის, გამოუქვეყნებელი მემუარების შესწავლა იყო საჭირო, რაც წარმატებით განახორციელა ს.ს. მონტეფიორემ. მედიაბაზრის მდგომარეობის გაანალიზებისთვის საჭირო ლიტერატურიდან ერთ - ერთია ქათამაძე ა. 2007. მედიასაშუალების ბაზარი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. თბილისი: უნივერსალი. ავტორის მიერ მიმოხილულია სარეკლამო ბაზარი და მომხმარებლის დამოკიდებულება მედიასაშუალებების მიმართ, რეიტინგების მნიშვნელობა მედიისთვის და სარეკლამო ბაზრისთვის, ასევე აქცენტი გაკეთებულია მასკომუნიკაციური თეორიების შესახებ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების წინ წამოწევა, როგორებიცაა: სარეკლამო ბაზარზე არსებული მდგომარეობა, რადგან მედიასაშუალებებისა და მედიაპროდუქტების რეიტინგები ისევე, როგორც სარეკლამო შემოსავლები განსაზღვრავს მასობრივი მედიის თავისუფლების ხარისხს, რაც თვსობრივად თავისუფალი საინფორმაციო და საარჩევნო ველის წარმოქმნის წინაპირობაა. ზემოაღნიშნული ბიოგრაფიებიდან ერთ - ერთია რეიგანი რ., 2011. რონალდ რეიგანი. (ავტობიოგრაფია). თბილისი: ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. ბოლო დროს პრეზიდენტებისათვის მემუარების წერა ტრადიციული რამ გახდა - სურთ, საკუთარი ამბავი თავიდანვე გვიამბონ. „ამერიკული ცხოვრება“ ამ მიზანს ემსახურება. წიგნი არის ავტობიოგრაფიული და ვრცლად არის გადმოცემული მსახიობის კარიერა, რომელიც საკუთარი კულტურული რესურსით ამერიკის პრეზიდენტი გახდა. ასევე წიგნში ბიოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოდგენილია ხელოვნების ნაწარმის გავლენები საზოგადოებებზე. ზემოაღნიშნული ბიოგრაფიებიდან ერთ - ერთია რობაქიძე გ., 2015. ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი. „არტანუჯი“. წიგნი გახლავთ პოლიტიკური ლიდერების შესახებ, რომელშიც აღწერილია, გარდა ბიოგრაფიისა, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იქმნებოდა საზოგადოებრივ საზრისებში მათი პოლიტიკურ - იკონოგრაფიული ხატები. ავტორის მიერ გაანალიზებულია თითოეული მათგანის პოლიტიკური სახე, როგორც იმიჯურად მიუწვდომელის და წარმოჩენილია მათ მიმართ საზოგადოების რიტუალური დამოკიდებულებები. იმის წარმოსაჩენად, რომ მასობრივი მედია არის პოლიტიკური გადაწყვეტილებების ინსპირირების საუკეთესო საშუალება გამოვიყენეთ კვლევა შარაშენიძე თ. 2013. დიპლომატიის ისტორია. XIX საუკუნე. თბილისი: ბაკურ სულაკაური. სახელმძღვანელო გახლავთ XIX საუკუნის დიპლომატიის შესახებ, მასში საინტერესოდ არის ასახული XIX საუკუნის პოლიტიკური ინტრიგები და მოლაპარაკებები, თუმცა უდიდეს ინტერესს იწვევს მამინდელი ბექდური მედიის პოლიტიკური მიზნის მისაღწევად გამოყენების საოცარი პრეცედენტი. რაც ცხადყოფს თანამედროვე სამყაროში მასობრივი მედიის მნიშვნელობას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ზემოაღნიშნული ბიოგრაფიებიდან ერთ - ერთია თევზაძე ნ., 2018. ადოლფ ჰიტლერი. თბილისი: პალიტრა. წიგნში განხილული მთავარი პერსონა გახლავთ ადოლფ ჰიტლერი - კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი დამნაშავე, კაცი, რომელიც ადამიანთა გვამებზე შემდგარი ქადაგებდა გერმანელთა რასობრივი უპირატესობების თეორიას. ვინ იყო ჰიტლერი? როგორ მოხდა, რომ ეს შეშლილი ფანატიკოსი გოეთესა და შილერის ქვეყნის ხელისუფლებაში მოხვდა?! რამდენად კანონზომიერი იყო როგორც მესამე რაიხის, ასევე ჰიტლერიზმის, როგორც იდეოლოგიის, კრახი? წინამდებარე ნაშრომის მიზანი ამ კითხვებზე პასუხის გაცემაა. ასევე ინტერესს იწვევს ჰიტლერის მიმართ ადამიანების მხრიდან არა ჩვეულებრივი და რიტუალური დამოკიდებულება. მედიაბაზრის შესწავლასთან ერთად საჭიროდ მივიჩნიეთ პოლიტიკური ბაზრისა და მისი რაობის გაანალიზება, ამიტომ გამოვიყენეთ ნაშრომი ვებერი მ., 1994. პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა. გერმანულიდან თარგმნა გიორგი ბარამიძემ. თბილისი: გონი. თხზულება მოგვითხრობს პოლიტიკის რაობისა და პოლიტიკოსის დანიშნულებაზე, იგი განკუთვნილია პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების და საერთოდ, პოლიტიკით დაინტერესებულ ადამიანთა ფართო წრისთვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პოლიტიკოსები და პოლიტიკური ჯგუფები ქმნიან დღის წესრიგებს, რომლის პოლიტიკური დღის წესრიგებიც ხშირად თანხვედრაში მოდის მასობრივი მედიის დღის წესრიგებთან, რაც თავისთავად განსაზღვრავს საზოგადოებების დღის წესრიგს. ადამიანური საზრისის ჩამოყალიბება და შემდგომ საყოველთაო დისკურსების შექმნა დამოკიდებულია სოციუმების შესახებ ინფორმაციაზე, ამიტომ მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ კვლევა ზაქარაია დ., 2006. პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოება. თბილისი: ზაანი. წიგნი ეხება თანამედროვე ეპოქას, რომელშიც განმსაზღვრელი როლი მეცნიერულ - თეორიულ ცოდნასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ენიჭება, ინდუსტრიული შემდგომად ანუ პოსტინდუსტრიულად მოიხსენიებენ. თეორიული (მეცნიერული) ცოდნა და განვითარების ინფორმაციული მეთოდი წარმოადგენს ფორმირებადი (ახალი) საზოგადოების ძირითად მამოძრავებელ ძალას. შესაბამისად, თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში

ისე, როგორც არასდროს, ცოდნის შექმნას სათანადოდ დიდი ენერჯია და დრო ეთმობა. სოციოლოგების აზრით (ნ. სმელზერი, მ. კასტელსი და სხვ.), ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს –ადამიანური კაპიტალის საზოგადოებრივი პროგრესის განმსაზღვრელ ფაქტორად მივიჩნიოთ. მომავლის საზოგადოებაში, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, ცოდნის საზოგადოებაში ინტელექტუალური მაჩვენებლის წინა პლანზე წამოწევით დასაბამი ეძლევა ადამიანთა შორის სოციალური ურთიერთობების, ყოფა - ცხოვრების ორგანიზაციის ახალ წესს, რაც შეუძლებელია არ აისახოს მათ საზოგადოებრივ, კულტურულ და სულიერ მდგომარეობაზე. ყოველივე ამან თანამედროვე საზოგადოებისადმი, როგორც მეცნიერების - ფილოსოფოსების, სოციოლოგების, პოლიტოლოგების, ეკონომისტების და ფსიქოლოგების - ასევე ფუტუროლოგების, უბრალოდ, ინტელექტუალთა საყოველთაო და უპრეცედენტო ყურადღება გამოიწვია, რაც, ბუნებრივია, საკითხის აქტუალურობით არის განპირობებული.

მედიაბაზრის მდგომარეობის გაანალიზებისთვის საჭირო ლიტერატურიდან ერთ - ერთია Aris A. and Bughin J. 2009. *Managing Media Companies*. სახელმძღვანელო ინგლისურია და ინგლისურ ენაზეა გამოცემული, ავტორების მიერ მოკვლეულია კორპორატიული სტრატეგია მსოფლიოში არსებულ მედიასაშუალებებში, ასევე სახელმძღვანელოში ასახულია მომხმარებლის ძირითადი მოთხოვნები და მედია გაყიდვების დონე მსოფლიოში. ავტორების მიერ წამოწეულია მედიის ამჟამინდელი პრობლემები და მიმოხილულია მედიასაშუალებების კონკურენცია ლიდერობისთვის. ადამიანურ საზრისზე ზეგავლენების მოხდენის საშუალებას იძლევა ნიშნები, რიცხვები, სურათხატები და სხვადასხვა ხელოვნების ნაწარმი ამ ყოველივეს წარმოსაჩენად გამოვიყენეთ კვლევები, რომელთაგან ერთ - ერთია Bonnell E. *University Of California Press Berkeley · Los Angeles · Oxford*. 1998. *Iconography of Power Soviet Political Posters under Lenin and Stalin*. ბონელი ე. კალიფორნიის უნივერსიტეტის პრესა, ბერკლი ლოსანჯელესი ოქსფორდი. 1998. ლენინისა და სტალინის პლაკატებზე გამოყენებული საბჭოთა კავშირის დროინდელი ძალის იკონოგრაფია. 920 წლის პოლიტიკური იკონოგრაფია, ბოლშევიკმა მხატვრებმა შექმნეს უნიკალური სურათები, რომლებიც აერთიანებდნენ სხვადასხვა ტრადიციის ელემენტებს, მაგრამ ასევე უშეცდომოდ ასახავდნენ იმდროინდელ ბოლშევიკურ ეთოსს. ეს იყო ახალი ხატები - სტანდარტიზებული გამოსახულებები, რომლებზეც გამოსახულნი იყვნენ გმირები (წმინდანები) და მტრები (ემმაკი და მისი თანმხლები ამაღა) ფიქსირებული გამოსახულების მიხედვით (ე.წ. „პოდლინიკები—/დედნები საელკესიო მხატვრობაში). საბჭოთა პოლიტიკური ხელოვნების ხატები არ ასახავდნენ სოციალურ ინსტიტუტებს და საზოგადოების დამოკიდებულებას. ისინი წარმოადგენდნენ ხელისუფლების მიერ თავს მოხვეული ნიშნების სისტემის ნაწილს, რომელთაც სურდათ შემოქმედება მოეხდინათ მასობრივ აზროვნებაზე. ადამიანურ საზრისზე ზეგავლენების მოხდენის საშუალებების წარმოსაჩენად გამოყენებული ლიტერატურიდან ერთ - ერთია Grotowski. P. L., 2010. *Translated by Richard Brzezinski. Arms and Armour of the Warrior Saints Tradition and Innovation in Byzantine Iconography*. (843-1261). Boston: Brill Leiden. გროტოვსკი. პ.ლ., 2010. მთარგმნელი რიჩარდ ბრეზენინსკი. წმინდან მებრძოლთა აბჯარცმულობა. ბიზანტიური იკონოგრაფიის ტრადიციები და ინოვაციები. ბოსტონი: ბრილ ლეიდენი (843-1261). მას შემდეგ, რაც ხელოვნებაში წარმოდგენილი იქნა ადამიანის ფიგურა, სამოსი წარმოადგენდა მის მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც განსაზღვრავს გამოსახულ ადამიანს. ასევე შეიძლება წარმოდგენილი იყოს დამატებითი ინფორმაცია არა მხოლოდ გამოსახულ სახეზე, ასევე მხატვარსა და საზოგადოებაზე, რომელშიც იგი მუშაობდა. ეს იყო ძველ ეგვიპტეშიც, სადაც ფარაონები გამოსახული იყვნენ რთული ორმაგი გვირგვინით, თავსაბურავითა და ძალის შეუცვლელი ატრიბუტით, რომელიც აჩვენებდა ზეცისა და მიწის სამფლობელოებზე სუვერენიტეტს. თანამედროვე საგნებიც კი, რომლებიც შეადგენენ სამოსის ნაწილს, მაგალითად პეპელა, ყელსახვევი ან ჰალსტუხი, რომლებსაც ნაკლებ ფუნქციური მხოლოდ სემიოტური, მნიშვნელობა აქვთ, მოგვითხრობს მისი მფლობელის სოციალურ სტატუსსა და მდებარეობაზე, რომელსაც იგი სტუმრობს. ამ შრომის მიზანია პასუხი გაეცეს იმას, თუ რამდენად მარტივად მეორედობდა მებრძოლთა გამოსახულებები ანტიკურ მოდელებში და იყვნენ თუ არა ისინი ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც განსხვავდებოდა რეალობისგან და ზეგავლენა ჰქონდა იკონოგრაფიული კანონის განახლებას გამოსახულებების შექმნისას გამოყენებულ იარაღებში. ამ პრობლემის გადაწყვეტა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წესების განხილვისას, მეომართა გამოსახულებების ევოლუციის განსაზღვრისათვის, არამედ ასევე შეიძლება პასუხი გაეცეს მათი კულტების ხასიათის გარშემო არსებულ შეკითხვებს. კოდირება - დეკოდირების სისტემის გასაშიფრად და ადამიანურ საზრისზე ზეგავლენების მოხდენის საშუალებების წარმოსაჩენად გამოყენებული ლიტერატურიდან ერთ - ერთია Hall S. 1999. *Encoding Decoding. The Cultural Studies Reader Second Edition Edited by Simon During*. Second edition .. London and New York: Routledge pp.507-517.

ჰოლი ს. 1999. კოდირება, დეკოდირება. კულტურული კვლევა, მეორე გამოცემა. სიმონ დურინგის რედაქტირებით. ლონდონი და ნიუ იორკი: როუთლეჯი. სტიუარტ ჰოლის ზეგავლენა დაწვრილებითი მონათხრობია იმაზე, თუ როგორ ფორმირდება და ვრცელდება შეტყობინებები, განსაკუთრებით ტელევიზიის მეშვეობით. იგი გვთავაზობს ოთხსაფეხურიანი კომუნიკაციის თეორიას: წარმოება, გავრცელება, გამოყენება და რეპროდუქცია. „მისთვის ყოველი ეტაპი შედარებით ავტონომიურია–. ეს ნიშნავს იმას, რომ შეტყობინების კოდირება აკონტროლებს მის აღქმას, მაგრამ არ არის გამჭვირვალე – თითოეულ ეტაპს თავისი საკუთარი განმასხვავებელი ზღვარი და შესაძლებლობა აქვს. შედარებით ავტონომიურობის კონცეფცია მას საშუალებას აძლევს ამტკიცოს, რომ მრავალმნიშვნელობა არ ნიშნავს პლურალიზმს: შეტყობინება არ არის გახსნილი რაიმე ინტერპრეტაციის ან ზოგადად გამოყენებისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ თითოეული ეტაპი ზღუდავს შემდგომ შესაძლებლობებს. რეალურ სოციალურ არსებობაში ჰოლტი აგრძელებს იმის მტკიცებას, რომ შეტყობინებებს აქვთ „დომინირების რთული სტრუქტურა–, ამიტომ, თითოეულ ეტაპზე ისინი აღნიშნულია „ინსტიტუციური მმართველი ურთიერთობით–. გარდა ამისა, შეტყობინება შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ ცალკეულ ეტაპზე. ეს გასაგები და შესაფერისია, თუმცა არსებობს შეტყობინების გარემო, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული ან აღქმული, უკიდურეს შემთხვევაში, მარცვლის წინააღმდეგ. რელიგიურ - კულტურულ - ფსიქოლოგიური საზრისის ჩამოყალიბების პროცესის წარმოსაჩენასთან ერთად საჭირო გახდა თვითონ პოლიტიკური ფიგურების შექმნისა და საზოგადოებისგან მათი აღქმის შესაძლებლობების გამოვლენა, რომლის შესახებ მნიშვნელოვანი წყაროებია კვლევაში Lasswell H. D. 1951. The Political Writings. Illinois: By The Free Press a corporation. ჰაროლდ დ. ლასველი. 1951. პოლიტიკური ფერწერა. ილინოისი: თავისუფალი პრესის კორპორაცია. თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა ორმა ტომმა მათი ორიგინალური შინაარსისა და ლაკონური გადმოცემის გამო. ერთ - ერთი მათგანია პროფესორ ლასველის ფსიქო - პათოლოგია და პოლიტიკა (1930წ), ხოლო მეორე არის მისი პოლიტიკა: ვინ რას და როგორ იღებს (1936წ.) ეს წიგნები ხელმისაწვდომია მესამე, სრულიად ახალ მიდგომასთან ერთად - ესაა დემოკრატიული ხასიათი. პოლიტიკური მეცნიერება ერთ-ერთი იმ მეცნიერებათაგანია, რომელმაც რევოლუცია განიცადა ბოლო წლების ეპოქალიური მიღწევებით და შესწავლილ იქნა ადამიანის მიერ. სამედიცინო ფსიქოლოგია ადამიანის ცნობიერების უფრო ღრმად შესწავლის უდიდეს წყაროდ იქცა, განსაკუთრებით ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზის შემდგომ. ლასველის ფსიქოპათოლოგია და პოლიტიკა იყო ერთ - ერთი პირველი სრულმასშტაბიანი პრინციპი ფსიქოპათოლოგიის პოლიტიკაში გამოყენებისას. ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალო განმეორებითი მტკიცება და ნორმალური გამოყენება ფსიქოპათოლოგიისა სოციალური კონტექსტით. პროფესორი ლასველი განიხილავს რამდენიმე ფუნდამენტურ ჰიპოთეზას „პოლიტიკოსის—, როგორც სოციალური ტიპის, ასევე რამდენიმე ქვეტიპს, როგორებიცაა: „ავიტატორი“, „თეორეტიკი– და „ადმინისტრატორი–. პოლიტიკური ლიდერების ინტენსიურმა შესწავლამ გახსნა სამუშაო „არანაციონალურ– შემოქმედებაზე პოლიტიკაში და განსაზღვრა, რომ აუცილებელი იყო სპეციალური ზომების გატარება, თუ პოლიტიკურ გადაწყვეტილებები შედარებით რაციონალურად მიიღებოდა. ფსიქოპათოლოგია ხაზს უსვამს „პრევენციის პოლიტიკას—, როგორც ადამიანის კონსტრუქციული შესაძლებლობების გათავისუფლების პოტენციალს. ახალი პოლიტიკური მეცნიერება თანამედროვე ემპირიული კვლევისა და ტრადიციის სინთეზია, რომელიც წარმოიშვა მაშინ, როდესაც შეეხო დასავლეთ სამყაროს კლასიკურ საბერძნეთში. კავშირი მეტად მჭიდროდ შემუშავდა პროფესორ ლასველის დემოკრატიულ ხასიათში, ვიდრე სხვა მის წიგნებსა თუ სტატიებში, სადაც იგი „აღქმულია, როგორც რაღაც უეჭველი–. ამიტომ, ამ ახალ განმარტებას განსაკუთრებული ინტერესი ხვდა წილად. პოლიტიკური გზავნილების გამტარიანობა საზოგადოების მიმართ დამოკიდებულია კონკრეტულ პოლიტიკურ სისტემებზე, რადგან შესაძლებელია გზავნილების საჭიროება იყოს, როგორც დემოკრატიულ, ასევე სახელისუფლებო ჰეგემონიის პირობებშიც, ამიტომ ჩვენი ყურადღება მიიქცია ნაშრომმა Mills C. Wright. First published in 1956. The Power Elite. მილსი ჩ. რ. 1956. ელიტათა ძალაუფლება. მილსი ვარაუდობს, რომ ხელისუფლებათა ბალანსის ამერიკული დოქტრინა უფრო ნაკლებ სიძლიერეს აჩვენებს დღესდღეობით ვიდრე ის იყო წარსულში. ისტორიულად დასავლეთში, ძალადობის საშუალებები დიდად გაიზარდა, ორგანიზაციის ხარისხი გაფართოვდა და უფრო ეფექტურიც კი გახდა, მილსის თანახმად, თანამედროვე საზოგადოებაში არსებობს ელიტური ძალაუფლება. ელიტა განკარგავს უზარმაზარ ბიუროკრატიული ორგანიზაციების რესურსებს და ბატონობს ინდუსტრიულ საზოგადოებაში. იმდენად, რამდენადაც ბიუროკრატია ცენტრალიზებული და გაფართოებულია, ხოლო ის წრე, რომელიც ამ ორგანიზაციებს მართავს, დავიწროვდა, ამიტომაც მათი გადაწყვეტილების შედეგების ხვედრითი წილი ძალიან გაიზარდა. მილსის თანახმად, ელიტათა ძალაუფლებას საკვანძო თანამდებობის პირები განასახიერებენ თანამედროვე საზოგადოების სამ

ძირითად ინსტიტუტში: ეკონომიკა, მთავრობა, სამხედროები. ბიუროკრატის ფარგლებში ელიტა იკავებს ძირითად ლიდერულ პოზიციებს, რომლებშიც ამჟამად ბატონობენ თანამედროვე საზოგადოებაში - პოზიციებს რომელშიც ამჟამად ძალაუფლების ეფექტური საშუალებანი არის განთავსებული. ამგვარად, მათ ძალაუფლებას ხელისუფლებაში აქვს ფესვები გადგმული - სოციალური ორგანიზაციის ატრიბუტების სახით - და არა ინდივიდებში. სახელმწიფოს, კორპორაციებისა და სამხედროების ბიუროკრატია გაფართოვდა და ცენტრალიზებული გახდა და ძალაუფლების იმგვარ საშუალებად იქცა, რასაც სწორი არ ჰყოლია კაცობრიობის ისტორიაში. ძალაუფლების ეს იერარქიები თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების გასაღებია. შესაძლებელია ითქვას, რომ კულტურების ჩამოყალიბება დამოკიდებულია ინფორმაციულ გზავნილებზე, ასევე მიგვაჩნია, რომ კულტურა ვერ იქნება თანდაყოლილი და არის შექმნილი, რომელსაც ხელს უწყობს ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა, ის რა ინფორმაციის ნაკადიც ხვდებათ ადამიანებს ცხოვრების გზაზე, ასე რომ, საინტერესოდ მივიჩნით ნაშრომი Olesen T. 2015. Political Iconography. Global Injustice Symbols and Social Movements. Palgrave. Mcmilan. Pp. 37-65 ოლსენი თ. 2015. პოლიტიკური იკონოგრაფია. გლობალური უსამართლობის სიმბოლოები და სოციალური მოძრაობები. მაკმილანი: პალგრევი. კულტურული სოციოლოგია ფართოდ არის აღიარებული, როგორც სოციალური მეცნიერებების კვლევის ერთ - ერთი ყველაზე აქტიური სფერო მსოფლიოში. კულტურული სოციოლოგიის მაკმილანის ეს სერია ეძღვნება იმ აზრს, რომ ღრმა მნიშვნელობა დიდ განსხვავებას ქმნის სოციალურ ცხოვრებაში. კულტურა არ არის უბრალოდ წებო, რომელიც საზოგადოებას აერთიანებს, ყავარჯენია სუსტისათვის ან დამაბნეველი იდეოლოგიაა, რომელიც ძალავს ძალაუფლებას. ის არც პრაქტიკული ცოდნა, მშრალი სქემები ან ნოჰჰაჰა. სერია ცხადყოფს, რომ სოციალურ სამყაროში აქტიურად აზიარებენ და ავრცელებენ. კოდებითა და მითებით, ნარატივებითა და ხატებით, რიტუალებითა და წარმომადგენლობებით, ეს კულტურული სტრუქტურები მართავს ადამიანურ ქმედებებს, შთააგონებს სოციალურ მოძრაობებს, და ქმნიან ისტორიას. სერია საწყისს იღებს კულტურული კუთხიდან ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, მაგრამ ხაზს უსვამს სოციალური მეცნიერებების მკაცრ მეთოდებს და მიმართულია ემპირიული განმარტებებისაკენ. მონაწილეობას იღებს ფართო ინტერპრეტაციაში, მაგრამ ასევე ითვალისწინებს ქცევით შედეგებს. ისინი ავითარებენ კულტურის თეორიას, მაგრამ ასევე აწესებენ საშუალო ინსტრუმენტებს, რათა გამოწვევა მიიღონ რედუქციული გაგებისაგან იმისა, თუ როგორ მუშაობს სინამდვილეში სოციალური სამყარო. ამგვარად, ამ სერიის წიგნები ასახავს ორ კულტურულ სოციოლოგიას, როგორც ინტელექტუალურ საწარმოს. ადამიანურ საზრისზე ზეგავლენების მოხდენის საშუალებების წარმოსაჩენად გამოყენებული ლიტერატურიდან ერთ - ერთია Reilly F. Kent III and James F. Garber Foreword by Vincas Steponaitis P. Ancient Objects and Sacred Realms, Interpretations of Mississippian Iconography. უძველესი ნივთები და წმინდა სამეფოები, მისისიპის იკონოგრაფიის ინტერპრეტირება. ფ. კენტ რეილი III - ის და ჯეიმს ფ. გარბერის რედაქციით. ბინკას კ. სტეპონაიტის რედაქტირებით. ჩვენს წელთაღრიცხვით 900 და 1600 წელს, მდინარე მისისიპის დაბლობის ადგილობრივებმა და აშშ - ს აღმოსავლეთი და სამხრეთი ტერიტორიების ხალხმა გადაწყვიტა და შეასრულა ერთ-ერთი უდიდესი მხატვრული ტრადიცია კოლუმბიამდელი ამერიკიდან. მარტივად რომ ვთქვათ, ეს მისისიპისდროინდელი ხელოვნების ტრადიცია შედგება არტეფაქტებისგან, სიმბოლოებისგან, მოტივებისა და არქიტექტურული დაჯგუფებებისგან, რომლებიც წარმოადგენენ რიტუალური საქმიანობის ფიზიკურ მტკიცებულებას, რომელიც გამოიყენებოდა მრავალი ეთნიკური ჯგუფის მიერ, რომლებიც შედიოდნენ მისისიპისდროინდელი პერიოდის დემოგრაფიულ და კულტურულ ლანდშაფტში. ეს ასევე არის შესამჩნევი კოსმოლოგია, იდეოლოგია და პოლიტიკური სტრუქტურა იმ განსხვავებული მისისიპისდროინდელი პერიოდის ჯგუფებისა. ეს ფიზიკური მტკიცებულებები განიხილება მისისიპის იკონოგრაფიის სტრუქტურული ანალიზის საშუალებით და რეგიონების სტილი იდენტიფიცირდება, ეთნო-ისტორიული მიდგომის შესაბამისად. ჩვენ მიერ პოლიტიკური ზეგავლენებისთვის სიმბოლოების მნიშვნელობაზე ჩატარებული კვლევების პროცესში საინტერესო აღმოჩნდა აღნიშნული წიგნი. ადამიანურ საზრისზე ზეგავლენების მოხდენის საშუალებების წარმოსაჩენად გამოყენებული ლიტერატურიდან ერთ - ერთია Roberts H. Encyclopedia of Comparative Iconography. Themes Depicted In Works Of Art, London: Volume 8, Chicago. რობერტსი ჰ., შედარებითი იკონოგრაფიის ენციკლოპედია. თემა ასახული ხელოვნების ნიმუშებში. ლონდონი: გამოცემა 1 1 A-Z, ჩიკაგო. ბერძნული მითი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეშვიდე საუკუნეში ლექსების წერის საგანი იყო, 27 საუკუნის შემდეგ ჯერ კიდევ აქტუალურია აუდიტორიისთვის, წარმოადგენს შთაგონებას მხატვრებისთვის, მწერლებისთვის, პოეტებისა და კომპოზიტორებისთვის. ეს ენციკლოპედია მოიცავს იკონოგრაფიულ ამბებს - კერძოდ, ბიბლიურ, მითოლოგიურ და

ლიტერატურულ ტექსტებს - პერსონაჟების ქცევების, იმ სიტუაციების შესაბამისად, რომლებშიც ისინი აღმოჩნდნენ და იმ გაგებასთან, რომელიც ამ სიტუაციებსა და ქმედებებს ეხება. ადამიანურ საზრისზე ზეგავლენების მოხდენის საშუალებების წარმოსაჩენად გამოყენებული ლიტერატურიდან ერთ - ერთია Romanian Money And Securites History I And Iconography. Exhibits from the numismatic collection of Banca Națională a României. რუმინული ფული და ფასიანი ქაღალდების ისტორია და იკონოგრაფია. ბანკი Banca Națională a României-ის ნუმისმატიკური კოლექციის გამოფენა რუმინული ბანკნოტების იკონოგრაფია (1877-2006) - 1867 წელს რუმინული ფულის შექმნა გახდა საწყისი სხვა იკონოგრაფიული სახეობების შექმნისათვის, რომლებიც ასახავდნენ როგორც რუმინეთის ისტორიას, ასევე მის პოლიტიკას. პირველი რუმინული ბანკნოტი 1877 წელს დაიბეჭდა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის პერიოდში. სპეციალისტებისა და შესაძლებლობების შეზღუდვებმა ბუქარესტში გამოიწვია ის, რომ ხელისუფლებამ დახმარებისთვის მიმართა საფრანგეთის ბანკს. პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით ცხადი იყო, რომ პირველ გამოშვებაში უნდა შესულიყო ზოგადი ეროვნული თემატიკა. რუმინეთის იპოთეკური კრედიტების კომიტეტსა და საფრანგეთის ბანკს შორის მიმოწერიდან ცხადი შეიქნა, რომ რუმინული ბანკნოტები უნდა დაბეჭდილიყო პარიზში მხატვარ ნიკოლი გრიგორესკის ესკიზებით. რუმინეთის ფინანსთა სამინისტრომ საფრანგეთის ბანკს დაავალა შეექმნათ საბოლოო პროექტი და ნება დართო ამ სპეციალისტებს მათში შეეტანათ ის აუცილებელი ცვლილებები, რომლებიც გამოყენებული იყო ბეჭდვის საუკეთესო ტექნოლოგიებში. 1930 და 1947 წლების 14 იპოთეკური ბანკნოტის ძირითადი შედარებით ვხედავთ, რომ საფრანგეთის ბანკის მხატვრებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს გრიგორესკის მიერ დახატულ ქალთა ტრადიციულ სამოსში, რათა ისინი უფრო ფრანგებად გამოიყურებოდნენ, ვიდრე რუმინელებად. ქალის სახე, რომელიც მიწაზე მუშაობს და სახლის საქმეებითაა დაკავებული, წარმოადგენდა ხატურის ცენტრალურ თემატიკას. ეს ბანკნოტები ყველაზე მდიდარ და შედარებით სრულ იკონოგრაფიულ ელემენტებს შეიცავდნენ, რომლებმაც ზეგავლენა იქონიეს 1947 წლის რუმინულ ფულზე. აღნიშნული სახელმძღვანელოს დახმარებით ჩვენ შევძელით ჩვენი მოსაზრებების გამყარება იმის შესახებ, რომ იკონოგრაფიას ძალიან დიდი გავლენები აქვს საზოგადოებაზე. ადამიანურ საზრისზე ზეგავლენების მოხდენის საშუალებების წარმოსაჩენად გამოყენებული ლიტერატურიდან ერთ - ერთია **Samuels Sh. 2004. Facing America: Iconography and the Civil War. Oxford University Press** სამუელსი შ. 2004. ამერიკის პირისპირ: იკონოგრაფია და სამოქალაქო ომი. ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა. ამ წიგნის ავტორი გვთავაზობს ეროვნული იკონოგრაფიის განხილვას, როგორც ამ სახეების დაწვრილებით განხილვისა და აღიარების პროცესს, რომლებსკენაც ისინი მოგვიხმობენ. მატარებლები, ელმავლები და გემები საქონლისა და ხალხის ტრანსპორტირებით, ისინი ახდენენ ტექნოლოგიების შეთქმულების მოდელირებას აშკარა ბედისწერით. სურათზე დომინირებს ხუთი ფიგურა, რომლებიც დახასიათებულია რასობრივად და მათი კოსტიუმებით, დგანან თუ არა ისინი მუხლებზე, რომ წარადგინონ კონტინენტები. რიგების ბოლოებში წარმოსახულია აფრიკა და ძირძველი ამერიკელები, რომლებიც მათ შორის უფრო მაღალი ფიგურებითაა წარმოდგენილი. ადამიანურ საზრისზე ზეგავლენების მოხდენის საშუალებების წარმოსაჩენად გამოყენებული ლიტერატურიდან ერთ - ერთია Shanen L. Hill. Biko's Ghost The Iconography of Black Consciousness . London: University of Minnesota Press Minneapolis. შანენ ლ. ჰილი. ბიკოს მოჩვენება შავი ცნობიერების იკონოგრაფია . ლონდონი: მინესოტას უნივერსიტეტის პრესა, მინეაპოლისი. იდეოლოგიის ეს კონკრეტული ისტორია არის მხოლოდ ერთ - ერთი იმ მრავალთაგან, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს. სტივ ბიკოს და სამხრეთ აფრიკის შავი ცნობიერების ვიზუალური ისტორია სამხრეთი ანალიზის საშუალებას გვაძლევს, რომელიც საჭიროებს განსხვავებულ მიდგომას ან სხვადასხვა (ზოგჯერ დაკავშირებული) წარმოდგენის თეორიას. მატერიალურ-კულტურული მანიფესტების, საინფორმაციო ბიულეტენების, პრესის ჩვენებების, საჯარო წერილებისა და ლექციების, კულტურული ჟურნალებისა და დემონსტრაციის ჩანაწერების (მუსიკის, პოეზიის, ლიტერატურისა და ხელოვნების) საშუალებით - შავი ცნობიერება ესთეტიკად გვევლინება, რომელიც ხელს უწყობს ერთიანობას და ქმედებას. ასეთი მასალები გვთავაზობენ რამდენიმე სურათს, მაგრამ მდიდარი ხედვა ძირითადად სიტყვისაგან წარმოდგება. ამგვარად, ვიზუალური კულტურის მასალა: როგორც ნახატი, ასევე ტექსტი (ნაბეჭდი, სალაპარაკო მოსასმენი) ერთიანდება იდეების ჩამოყალიბებისათვის. ადამიანურ საზრისზე ზეგავლენების მოხდენის საშუალებების წარმოსაჩენად გამოყენებული ლიტერატურიდან ერთ - ერთია The Symbolism of the Biblical World Ancient Near Eastern Iconography and the Book of Psalms by Othmar Keel Translated by Timothy J. Hallett Winona Lake. 1997. Indiana: Eisebrauns ბიბლიური სამყაროს სიმბოლოებში უძველესი ახლო აღმოსავლეთის იკონოგრაფია და ომარ კეის მიერ ფსალმუნების წიგნი. 1997. ინდიანა: ეისენბრაუსი. სერიოზული მოსწავლესათვის იკონოგრაფია არანაირად არ შეიძლება

ცვლიდეს ხელნაწერების შესწავლას. მაგრამ ეს არ შეიძლება იკონოგრაფიას თავის მნიშვნელობას უკარგავდეს. ჩვენ საქმე გვაქვს ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ, მაგრამ სხვადასხვა საშუალებასთან, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი განმასხვავებელი განსაკუთრებულობა. იკონოგრაფია უკვე დიდი ხანია აღიარებულია ბიბლიური რეალიების მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც კაცობრიობის ხელოვნების პროდუქტს წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ბიბლიური წიგნის კონცეპტუალური სამყაროს სისტემატიკურ შედარებას ძველ ახლოაღმოსავლურ ხატურასთან. ფსალმუნის არჩევა ამ შედარებისთვის შემთხვევითი არ არის, თუმცა კვლევა ასევე მოიცავს სხვა წიგნებს, მაგალითად, იობისა და იერემიას წიგნებს რომლებიც ფსალმუნის ენის შთაბეჭდილებას ატარებს.

მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა

კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები. სამეცნიერო ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველს წარმოადგენს ჰუმანიტარული მეცნიერების ზოგადსამეცნიერო მეთოდები. კვლევა ეფუძნება ისტორიულ, შედარებით, მეორეულ, დისკურსული ანალიზის, სოციოლოგიურ, კოდირება - დეკოდირებისა და იკონოგრაფიული ანალიზის მეთოდებს. ისტორიული ანალიზის მეთოდი - გამოყენებულ იქნა როგორც უცხოური, ასევე ქართული მედიისა და პოლიტიკის ურთიერთობების განვითარების გარკვეული ისტორიული ეტაპებისა და პერიოდების შესასწავლად. რადგან თუკი ადრეულ საუკუნეებში პოლიტიკური იმიჯები იქმნებოდა მწერლობით, სიმღერითა და იმ სურათ ხატებით, რომლებზეც საზოგადოებას ინფორმაციული წვდომა ჰქონდა, ამჟამად თანამედროვე ვიზუალური აღქმის სამყაროში ყველა ეს ფუნქცია გააძლიერა და შეითავსა მედიამ, რომელზეც საზოგადოების წვდომა დიდია, რაც განაპირობებს მის დიდ გავლენებს საზოგადოებრივ ნარატივსა და საზრისებზე. შედარებითი ანალიზის მეთოდი - გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მედიასაშუალების სპეციფიკის შესასწავლად (ფორმები, ხერხები და მიდგომები) და შევადარე ქართულ მედიას. ასევე გავანალიზე პოლიტიკოსების იმიჯები, როგორც პიროვნებებისა და როგორც უკვე პოლიტიკურ - იკონოგრაფიული ხატებისა. ასევე შედარებით ანალიზზე დაყრდნობით გამოვიკვლიე ქრისტიანული იკონოგრაფიული ხატების ტრანსფორმაციის გზები და მეთოდები პოლიტიკაში. კვლევის მეორეული ანალიზის მეთოდი - კვლევაში გამოყენებულია სხვა მეცნიერების მიერ მოპოვებული შედეგები: სტატისტიკა, ციფრები, კვლევების შედეგები და მოსაზრებები, კერძოდ, ბორის გროისის, მაქს ვებერის, ანტონიო გრამშის, რომანო გვარდინის, ნიკლას ლუმანის, კარლ იუნგის, ზიგმუნდ ფროიდისა და სხვათა შრომები, როგორც სამამულო დონეზე, ასევე უცხოეთში მოღვაწე მეცნიერებისა. დისკურსული ანალიზი - კვლევაში გაანალიზებულია საქართველოში არსებული დისკურსები და ზოგადად, თუ როგორ ყალიბდება მედიისა და ხელისუფლებების მიერ ძალაუფლების დისკურსები. ზოგადად ხელისუფლება გაიგება, როგორც მოცემულობა, როგორც საკვლევი ცვლადი, რამდენადაც იგი აყალიბებს ძალაუფლების დისკურსს. აქდან, გამომდინარე მედიის დისკურსების ანალიზის საფუძველზე ჩვენ მოვახდინეთ ენის „ფორმალურ - ქეშმარიტი გამოთქმების- წარმოქმნის სპეციალური სააზროვნო მოდულების/საზრისების შექმნის სტრატეგიების ელიმინირება, რომელსაც სოციალური იტულების ფუნქცია აქვს ჩვენ ვვარაუდობთ, რომ თვით ენა ფორმალიზებული გამოთქმების საზრისების შექმნის სახით დისკურსის ფორმაში ფლობს თავის ავტონომიურ ხელისუფლებას. ეს არის მედია „დისკურსის ხელისუფლება“, რომელიც გამოიხატება როგორც საერთო აზრის, სიტყვების, ლოგიკური ოპერაციების „განმეორების სტადიურობისა- და ავტორიტეტული მტკიცებების ფარგლებში გამოთქმული ყოვლისმომცველი ტირანია.

სოციოლოგიური კვლევები - რაოდენობრივი კვლევა N1; ქართული მედიასივრცის შესასწავლად ჩავატარე კვლევა საქართველოში არსებული მედიასაშუალებების ტოპმენეჯერებს შორის. კოდირების ანკეტა მოიცავს ორმოცდაათამდე კითხვას. რაოდენობრივი კვლევა N2 წინასაარჩევნო განწყობის კვლევა ერთ ველზე. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა დღეებში გამოიკითხა ნაძალადევის რაიონის 500 - მდე ამომრჩეველი. ქართული მედია საშუალებების კოდირება - დეკოდირების სტრუქტურული ანალიზი - მედიის დღის წესრიგისა და სტიუარტ ჰოლის კოდირება-დეკოდირების სისტემის თეორიებზე დაყრდნობით გავანალიზე ქართული მედიის დღის წესრიგი და მედიის, როგორც მკოდირებელისა და საზოგადოების, როგორც დემკოდირებლის მნიშვნელობა პოლიტიკური წარმატებისთვის. იკონოგრაფიული ანალიზი: საქართველოში არსებული საყოველთაო დისკურსისა და ნარატივის გათვალისწინებით გავანალიზე პოლიტიკურ იკონოგრაფიული ხატის შექმნის სტრატეგია ქართულ პოლიტიკაში. ასევე ძირითადად ყურადღება დათმობილი აქვს თანამედროვე, ინფორმაციული საზოგადოებისადმი პოლიტიკის ჩართულობასა და პოლიტიკურად მოქმედი

აქცენტების ზეგავლენის სტრუქტურის შესწავლას. აქედან გამომდინარე, დისერტაციაში ყურადღება ეთმობა პოლიტიკური ქცევის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიას, პოლიტიკურად მოქმედი აგენტების რწმენისა და ქცევის პრინციპებს და პოლიტიკურ - იკონოგრაფიულ სტრუქტურას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ყურადღება ექცევა ტრადიციულ საეკლესიო იკონოგრაფიას და მის ტრანსფორმაციას პოლიტიკურ იკონოგრაფიაში.

კვლევის შედეგები

ქართული მედიასივრცის კვლევა

ჩვენ მიერ გამოკითხულ იქნა ქართულ მედიასივრცეში არსებული 49 მედიასაშუალების ტოპმენეჯერი, რომელთაც შეეძლოთ ერთ კითხვაზე რამდენიმე პასუხის გაცემა, ამიტომ კითხვების დაქსაქსვის დროს რაოდენობრივი კვლევის რამდენიმე კითხვაში არასტანდარტული პროცენტული მაჩვენებლები დასაშვებია.

ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოიკითხა ქართულ მედიაბაზარზე არსებული რადიოს, ტელევიზიის, ბეჭდური მედიისა და ინტერნეტმედიის 49 ტოპმენეჯერი. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, გამოკითხული მენეჯერების უმრავლესობა თვლის, რომ თანამედროვე მედიაბიზნესი ტელევიზიაა და მცირე სხვაობით მას მოჰყვება ინტერნეტი, (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა A1) რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე, როგორც მედიაბიზნესს, ინტერნეტმედიას მეორე მყარი პოზიცია უჭირავს სხვა მედიასაშუალებებთან შედარებით, ხოლო პერსპექტივაში და უახლეს მონაცემებზე, კვლევებსა და ინფორმაციებზე დაყრდნობით, ის უდავოდ ლიდერ მედიასაშუალებად მოგვევლინება. ამ ყოველივეს ცხადყოფს ის ფაქტი, რომ მენეჯერების აზრით, ინტერნეტი დიდ გავლენას ახდენს რადიოს, ტელევიზიის, ბეჭდური მედიის ან მათ მიერ შექმნილი მედიაპროდუქტის წარმატებასა და პოპულარიზაციაზე. ამ დროისთვის ქართულ ბაზარზე არსებული კომპანიების უმრავლესობას ან მათ მიერ შექმნილ მედიაპროდუქტს აქვს საკუთარი ჩენელი (არხი) ინტერნეტში. (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა R22) რაც შეეხება საზოგადოებაზე გავლენის კუთხეს, მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტი მეორე პოზიციას ინარჩუნებს, დიდი სხვაობით ლიდერობს ტელევიზია, (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა A2) რისი მიზეზიც ინტერნეტზე ქართული საზოგადოების შედარებით ნაკლები წვდომაა, რასაც ადასტურებს ჩემ მიერ სატელეფონო გამოკითხვა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს შორის (დიაგრამა 2.), სადაც ქართველი მოსახლეობის 35 წელს ზემოთ ადამიანების წვდომა ინტერნეტზე ძალიან დაბალია. ქართველი მომხმარებელი მედიასაშუალებებს ძირითადად ახალი ამბების გასაგებად და გართობისთვის იყენებს. (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა A3) საგულისხმო და პრობლემატური, თუმცა რეალურია ის, რომ თუ განვითარებული ქვეყნების მედიასაშუალებების წარმატებას კომპანიის სწორი მენეჯმენტი და ხარისხიანი პროდუქტი განაპირობებს, ქართული მედიასაშუალებების წარმატებას ან წარუმატებლობაზე, ქართველი ტოპმენეჯერების აზრით, გავლენას პოლიტიკური სიტუაცია ახდენს. (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა A4) კვლევის შედეგად, მედიაბაზარზე წარმატებულ ტელევიზიებად „რუსთავი2“, „იმედი“ და „ჯიდიესი“ დასახელდა (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა A5), თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს ტელევიზიები მხოლოდ მედიაბიზნეს საქმიანობისთვის არ ფუნქციონირებენ და ისინი პოლიტიკური ჯგუფების გავლენის ქვეშ მყოფი მედიასაშუალებებია. სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ქართულ მედიაბაზარზე წარმატებული მედიასაშუალება მხოლოდ თავისი კონტენტით (შინაარსით) და რეკლამიდან მიღებული შემოსავლით არ არსებობს. რაც შეეხება რეკლამას და მის დამკვეთებს, თუ რომელ მედიასაშუალებაში განეთავსებინათ რეკლამა, მათზე გავლენას როგორც წინა ხელისუფლება, ასევე შედარებით ნაკლები დოზით, მაგრამ ახალი ხელისუფლებაც ახდენს (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა B3 და B4). ასევე მნიშვნელოვანია რეიტინგების დამდგენი კომპანიების მიმართ ქართველი მედიამენეჯერების სრული უნდობლობა (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა R15). ეს ფაქტი საგულისხმოა, რადგან რეკლამის

დამკვეთები ბაზარზე რეკლამის განთავსებას რეიტინგების მიხედვით განსაზღვრავენ (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა R13). ხოლო მედიასაშუალებებს ძირითადი შემოსავალი რეკლამიდან აქვთ (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა B2). კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ონლაინბიზნესში ერთადერთი ქართული საიტი იქცევს მომხმარებლის ყურადღებას - Myvideol დანარჩენ შემთხვევაში ქართველი მომხმარებლის ფინანსები უცხოურ საიტებზე მიედინება.(იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა A7). მედიამენეჯერების აზრით, ადგილობრივი მომხმარებლების მიერ გადახდილი თანხები ონლაინბიზნესში ქართულ ბაზარზე რომ რჩებოდეს, ქართული ონლაინბიზნესის განვითარებას ხელს შეუწყობდა (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა R2). ქართველი ტოპმენეჯერები მედიაკომპანიებში უპირატესობას მაღალი კვალიფიკაციის კადრებს ანიჭებენ და მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია კვალიფიციური კადრებისთვის საჭირო პირობების შექმნა.(იხილეთ კვლევის შეკითხვა B5 და B6), თუმცა, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთის ქვეყნებში დასაქმებული ადამიანების გარანტი და უფლებადამცველი პროფკავშირია, რომელიც არც ერთ ქართულ მედიასაშუალებაში არ არსებობს (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა B7). მიუხედავად იმისა, რომ მენეჯერების უმრავლესობა საჭიროდ მიიჩნევს მის არსებობას (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა B9). გარდა მედიაში დასაქმებული ადამიანის უფლების დაცვისა, პროფკავშირის არსებობა მედიასაშუალებებში მნიშვნელოვანია მედიაბიზნესის განვითარებისთვის, რადგან ტოპმენეჯერების უმრავლესობა ერთ-ერთ მთავარ პრობლემად კვალიფიციური კადრების გადინებას მიიჩნევს კომპანიიდან (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა B10), რაც მედიაბიზნესის განვითარებისთვის ცუდია, რადგან სტაჟიორს კვალიფიციურ კადრად ჩამოყალიბებისთვის 1 ან 2 წელი მაინც სჭირდება (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა B11). ასევე, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მედიასაშუალებებში საშუალო ხელფასები 500 - 1000 და 1000 - 1500 ლარამდეა (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა B17), მენეჯერს 2 წელი სტაჟიორის ანაზღაურება იმაზე მეტი უჯდება, ვიდრე კვალიფიციური კადრისთვის სათანადო პირობების შექმნა. როგორც ბიზნესი, მედია საქართველოში გარკვეულწილად რისკებთან არის დაკავშირებული და ამ ძირითადად რისკებს განაპირობებს პოლიტიკური გარემო და არასტაბილური ეკონომიკური სიტუაცია (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა B15 და B16). რისკებთან არ არის დაკავშირებული მომხმარებელი, რადგან ქართველი მომხმარებლის გემოვნების დადგენა დიდ კვლევებს არ საჭიროებს და ძირითადად მათ ინტერესს ტელევიზიით ნანახი ცნობილი ადამიანების ოჯახური სკანდალები იწვევს (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა R9), ეს, როგორც ბიზნესი, კომპანიებისთვის მომგებიანია და ძვირი არ ჯდება შესაბამისი კონტენტის(შინაარსის) დამზადება, თუმცა ეს პრობლემატურია საზოგადოების განვითარებისთვის, რადგან ქართულ მედიას, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა R9), რომელიც ვერც ერთ ქართულ მედიასაშუალებაში ვერ იღებს შემეცნებით ინფორმაციას, თუმცა ბიზნესის კუთხით მედიაკომპანიები დიდ დანაკლისს მიიღებენ, თუ აქცენტს გააკეთებენ იმ გადაცემებზე, რომლებიც საზოგადოების განვითარებისთვის კარგია, მაგრამ მომხმარებლის უმრავლესობა არ უყურებს. ქართული მედიის განვითარებისთვის შეიძლება დადებითად შეფასდეს ის, რომ მედიამენეჯერების უმრავლესობა ადგილობრივ ბაზარზე დამზადებულ პროდუქტს ანიჭებს უპირატესობას, (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა R5). რადგან ეს იწვევს როგორც ფინანსების ადგილობრივ ბაზარზე დარჩენას, ასევე ქართველი პროფესიონალი კადრების ზრდას მედიაში. ტოპმენეჯერების აზრით, საქართველოში მედია საუკეთესო საშუალებაა პოლიტიკური მიზნის მიღწევისთვის და ეს განვითარებულ ქვეყნებშიც ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. (იხილეთ N1 კვლევის შეკითხვა E2). საერთაშორისო გამჭვირვალობამ 2011 წლის კვლევის შედეგად, თუ რამდენად ხშირად იყენებს მოსახლეობა ინტერნეტს, სამ ასაკობივ ჯგუფში ასეთი სურათი მიიღო: (იხილეთ კვლევის შედეგები დიაგრამა N1). კვლევის შედეგიდან კარგად ჩანს, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა ინტერნეტს ყოველდღიურად იყენებს, ხოლო ახალგაზრდების მცირე ნაწილი, ან იშვიათად სარგებლობს ან საერთოდ არ იცის რა არის ინტერნეტი, ხოლო 36 - 55 წლის ადამიანების არც თუ ისე დიდი, თუმცა გარკვეული ნაწილი სარგებლობს ინტერნეტით. ეს მაჩვენებლები იმ დროისთვის ინტერნეტისთვის, როგორც მედიაბაზარზე სიახლისთვის, დადებითად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა მხოლოდ 4 წლის შემდეგ, 2015 წელს, ჩემ მიერ ჩატარებულ იქნა შემთხვევითი შერჩევის გზით კვლევა, სადაც გამოიკითხა 30 ოჯახის სამი ასაკობრივი ჯგუფი: 18 - 35; 36 - 55 და 56+. კოდირების ანკეტა შედგებოდა ორი ძირითადი კითხვისგან: 1. საშუალოდ რა სიხშირით იყენებთ ინტერნეტს? 2. რომელი მედიასაშუალებით იღებთ ინფორმაციას? (იხილეთ კვლევის შედეგები ასახულია დიაგრამებზე N2 და N3) კვლევამ აჩვენა, რომ უკვე 2015 წლისთვის 30 ოჯახში მცხოვრები ახალგაზრდების 100% ყოველდღე იყენებს ინტერნეტს, ასევე 36 - 55 წლამდე ასაკის ადამიანების 50% ყოველდღე შედის ინტერნეტში, ხოლო ამ ასაკის დანარჩენი 50% ან კვრამი

ერთხელ ან თვეში ერთხელ მაინც სარგებლობს ინტერნეტით. 18 - 35 წლამდე ასკის უმრავლესობა უკვე ინფორმაციასაც ინტერნეტის საშუალებით იგებს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია:

- მასმედიის ზეგავლენა საზოგადოებაზე დიდია;
- ინტერნეტმედიის მომხმარებელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება;
- მედიაბაზარზე წლების განმავლობაში ტელევიზიის დომინირების შემდგომ ისეთი დომინანტი, როგორც ინტერნეტია, ჯერ არც ერთი მედიასაშუალება არ ყოფილა.
- ქართველი 18 დან 35 წლამდე ახალგაზრდებისთვის მედიაბაზარზე ლიდერის პოზიციებზე უკვე ინტერნეტია.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რეიტინგი და ადამიანების წვდომა კონკრეტულ მედიასაშუალებაზე განსაზღვრავს რეკლამის დამკვეთის გადაწყვეტილებას სად მიიტანოს რეკლამა, ამ გარემოებების მიხედვით, მცირე ხანში, მეტწილად, რეკლამასაც და ფინანსებსაც ინტერნეტი აითვისებს. თუ საქართველოს მთლიანი მოსახლეობისთვის ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი ინტერნეტმედია, ამ მხრივ განსხვავებული სიტუაციაა განვითარებული ქვეყნების მედიასივრცეში.

წინასაარჩევნო კვლევა

ნამალადევის რაიონში გამოიკითხა 500 ამომრჩეველი, რათა დაგვედგინა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მოსახლეობის წინასწარი განწყობები და მედიის როლი აღნიშნული განწყობების შექმნაში.

გამოკითხული ამომრჩეველების 82,7% პოლიტიკური სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მისაღებად მედიასაშუალებებს იყენებს. 15% სხვა წყაროებიდან იღებს ინფორმაციას, ხოლო 2,3%-ს უჭირს პასუხის გაცემა. (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა A1) ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური მიზნის მიღწევისთვის საქართველოში მასმედიას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამომრჩეველთა უმრავლესობა, 79,21%, ძირითადად ინფორმაციას ტელევიზიიდან იგებს, ხოლო ინტერნეტით 35,28%, რაც შეეხება ბეჭდურ მედიას, 12,15%, ხოლო რადიოს 8,88% იყენებს პოლიტიკური სიტუაციის შესახებ ინფორმაციის გასაგებად (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა A2). ტელევიზია ლიდერობს მედიასაშუალებებს შორის და მას მოჰყვება ინტერნეტმედია, რომლის მიმართ ინტერესი და წვდომა საკმაოდ გაზრდილია, რასაც ვერ ვიტყვით წარსულში პოლიტიკისთვის ძალიან მნიშვნელოვან ბეჭდურ მედიაზე და რადიოზე, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ ვიზუალური აღქმის სამყარომ რადიო შედარებით უკანა პლანზე გადაწია ამომრჩევლისთვის, ხოლო ბეჭდური მედიის სტატეები უკვე ინტერნეტშიც შეუძლიათ ნახონ. ამომრჩეველთა უმრავლესობა არჩევანს ტელევიზიებს შორის ტელეკომპანია რუსთავი2-ზე - 62,62% და ტელეკომპანია იმედზე - 58,18% აკეთებს (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა A3), რაც იმას ნიშნავს, რომ როგორც პოლიტიკურ, ასევე მედია დღის წესრიგს პოლიტიკური ჯგუფების გავლენის ქვეშ მყოფი ტელევიზიები განსაზღვრავენ და ამ ყოველივეს საზოგადოებრივი მაუწყებლის დაბალი ნდობა და რეიტინგიც ემატება - 11,68%. რაც შეეხება რადიოს, ამ შემთხვევაში ამომრჩეველებს განსაკუთრებულად ერთ რომელიმე რადიოზე არ აქვთ აქცენტი გაკეთებული (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა A4) და ზოგადად რადიოდან პოლიტიკური ამბების მსმენელთა 8,88% ყველა რადიოსადგურზე თითქმის თანაბრად ნაწილდება. რასაც ვერ ვიტყვით ინტერნეტ პორტალებზე და აქ ლიდერობას არც ერთ პორტალს არ უთმობს Facebook-ი 48,13%-ით (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა A5). განსხვავებული სიტუაციაა ამომრჩევლისთვის ბეჭდური მედიის მიმართ და ყველაზე მეტი ამომრჩეველი გაზეთ „კვირის პალიტრას“- 16,36% და „ასავალ დასავალს“- 8,88% - კითხულობს (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა A6). დემოკრატიული პრინციპებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკოსის ან პოლიტიკური პარტიის უფლებას იმის შესახებ, რომ მათ აქვთ უფლება პრესკონფერენცია ჩაატარონ საზოგადოებრივი მაუწყებლის მე - 2 არხზე, თუმცა ამ სატელევიზიო არხს ამომრჩევლის მხოლოდ 7,9% უყურებს პოლიტიკური ინფორმაციის გასაგებად (იხილეთ N2

კვლევის შეკითხვა A7). უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკოსის ან პოლიტიკური პარტიის მიმართ განწყობებისთვის რეფერენტულ ჯგუფებს, რადგან ამომრჩევლები მედიასაშუალებების გარდა ინფორმაციას მათ შესახებ, ვისაც შემდგომ ხმას აძლევენ სამეზობლოსგან და საკუთარ სამსახურებში იგებენ (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა A8). კითხვაზე იმის შესახებ, თუ რომელი მედიასაშუალებებიდან გაიგეს ინფორმაცია პოლიტიკოსზე ან პოლიტიკურ პარტიაზე, რომელსაც წარსულში ჩატარებულ არჩევნებზე დაუჭირეს მხარი, ამომრჩევლების პასუხები იგივეა, რაც უახლეს არჩევნებზე და იმავე მედიასაშუალებებს ასახელებენ (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვები A9;A10;B1;B2;B3), რაც განპირობებულია კონკრეტული მედიასაშუალებების დომინირებით ქართულ მედიასაზარზე და ეს მედიასაშუალებები პოლიტიკური ჯგუფების გავლენის ქვეშაა, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს (N2 კვლევის შეკითხვა B4) ამომრჩეველთა საკამაოდ დიდი ნაწილი. 54,4% თვლის, რომ საქართველოში თავისუფალი მედია არ არსებობს (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა B5), ხოლო ამომრჩეველთა 31,5%, რომლებიც თვლიან, რომ თავისუფალი მედია არსებობს, სხვადასხვა მედიასაშუალება ნაწილდება პროცენტულად, მათ შორის რუსთავი2-ზე და იმედზე (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა B6). საზოგადოებაზე მედიის გავლენა ძალიან დიდია (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა B7), თუმცა მედიაში ჯანდაცვის რეფორმასა და საკანონმდებლო ცვლილებებზე უფრო მკვლევლობის, გაუპატიურების და ოჯახური სკანდალების შესახებ ინფორმაცია იქცევა საზოგადოების ყურადღებას (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა B8), რაც იმას ნიშნავს, რომ შემეცნებითი გადაცემები, რაც საზოგადოების განვითარებას უწყობს ხელს, წამგებიანია როგორც კომერციულად, ასევე პოლიტიკურად, რადგან ფინანსები, რაც კი ქართულ მედიაში არსებობს, პოლიტიკური ჯგუფებისგან მიედინება (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა B9), ხოლო პოლიტიკურ ჯგუფებს გარანტირებული ელექტორატი სჭირდებათ. ამომრჩეველთა დიდი ნაწილი 90,2% მიიჩნევს, რომ მედია არის საუკეთესო საშუალება პოლიტიკური მიზნის მიღწევისთვის (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა B10), ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად პოლიტიკური ზეგავლენებისა, ქართულ მედიას საზოგადოებისგან საკმაო ნდობა აქვს. ამომრჩეველთა 53,7% სწორედ ასე მიიჩნევს (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა B11). წინასაარჩევნო განწყობა არც ისე ნეგატიურია, რადგან ამომრჩეველთა 75,7% მიდის არჩევნებზე (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა B12), ხოლო ამათგან 65,9% მიდის არჩევნებზე მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა B13), ხოლო ამომრჩეველთა ძალიან მცირე ნაწილი 15,5% თვლის, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩაივლის. იმ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი, რომელიც არჩევნებზე არ მიდის, მთავარ მიზეზად 30,1% ასახელებს იმას, რომ არც ერთი პარტია არ მოსწონს (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა B14). წინასაარჩევნო განწყობა შემდეგნაირი იყო, ამომრჩეველთა 15% მხარს უჭერდა პარტია - ქართულ ოცნებას, 7,2% - პარტია - ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო 12,9% -სხვა პარტიებს. ეს გახლავთ იმ აქტიური ელექტორატის პროცენტული მაჩვენებელი, რომელი ელექტორატიც საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას არც მედიასაშუალებებისა და არც პოლიტიკოსების გავლენით არ ცვლის საკუთარ გადაწყვეტილებას, თუმცა მიჭირს პასუხი -24,3% და უარი პასუხზე 23,4% - (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა B15) გახლავთ ნეიტრალური ელექტორატი, რომლის გადაწყვეტილებაზეც მედიას შეუძლია ზეგავლენის მოხდენა. სწორედ ნეიტრალური ელექტორატისთვის არის მისაღები უპარტიო დამოუკიდებელი კანდიდატი, რადგან პარტიების და პარტიული კანდიდატების მიმართ ნდობა აღარ აქვს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც აქტიურ ელექტორატში არ შედის, წინასაარჩევნო განწყობებით 13,6% დამოუკიდებელ უპარტიო კანდიდატს ანიჭებს უპირატესობას (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა B16). პოლიტიკური იკონოგრაფიის შესაქმნელად საქართველოში პოლიტიკოსებმა და მათმა პოლიტიკური კამპანიის ხელმძღვანელებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ქართველი ამომრჩევლების საზრისი, რომელიც კვლევაში ჩვენ მიერ დასმული კითხვების პასუხებში ვლინდება კერძოდ: 83,6% - ის აზრით კანდიდატი უნდა იყოს მართლმადიდებელი ქრისტიანი (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა B17), წინასაარჩევნო დაპირებებში გასათვალისწინებელია, რომ ამომრჩევლების 61,2% სოციალური პრობლემების მოგვარებას, ხოლო 54,4% დასაქმებას ელის კანდიდატისგან (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R1), კანდიდატის დადებითი შეფასების მთავარი კრიტერიუმი 87,6% - სთვის მისი გამოცდილება, 6,3%-სთვის პოპულარობა, ხოლო 5,4%-სთვის გარეგნობაა (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R2). მთავარი თვისება რასაც პოლიტიკოსში აფასებს ქართველი ამომრჩევლის 83,9%-ი ეს არის პასუხისმგებლობა, ხოლო 60%-ი მთავარ დადებით თვისებად განათლებას ასახელებს, ასევე 19,2% - ს მიაჩნია, რომ გამართული მეტყველება საჭიროა პოლიტიკოსისთვის (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R3), ამომრჩეველთა 39% - ფიქრობს, რომ კანდიდატი, რომელსაც ხმას მისცემენ, მათ რაიონში უნდა ცხოვრობდეს (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R4) და მისი ასაკი 36 - 60 წლამდე უნდა იყოს 59%-ის აზრით, ხოლო 19% უპირატესობას ახალგაზრდა, 18 - დან 35 წლამდე ასაკის კანდიდატს

ანიჭებს (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R7), 27% თვლის, რომ კანდიდატი პროდასავლური ორიენტაციის უნდა იყოს, პრორუსულს 4% დაუჭერდა მხარს, ხოლო ყველაზე მეტი 44% ნეიტრალიტეტის მომხრე პოლიტიკოსს აირჩევდა (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R8), ასევე კანდიდატის პირად ცხოვრებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს 47% (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R9) და 48% თვლის, რომ ის დაოჯახებული უნდა იყოს (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R10), აღსანიშნავია, რომ ამომრჩეველთა 80%-სთვის დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკოსის წარსულს (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R11), ხოლო 81% ხმას სუფთა წარსულის მქონე პოლიტიკოსს მისცემდა (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R12). კითხვაზე, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს კანდიდატი, ვისაც მხარს დაუჭერენ? ამომრჩეველთა უმრავლესობას უჭირს პასუხი და თავს იკავებს, თუმცა 4 %-ს მაინც მიაჩნია, რომ პოლიტიკოსს წვერები უნდა ჰქონდეს, ხოლო 1% მიიჩნევს, რომ თუ კანდიდატი ქალია, მას მოკლე კაზა არ უნდა ეცვას (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R23). ამომრჩეველთა 41% ხმას არ მისცემს კანდიდატს, რომელსაც მედიასაშუალებებში ხშირად ვერ ხედავს (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R21), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პოლიტიკურ იკონოგრაფიული ხატის შექმნისთვის მედიის უდიდეს მნიშვნელობას. წინასაარჩევნო განწყობებსა და მის ცვლილებებზე ვთანხმდებით, რომ დიდი გავლენა აქვს რეფერენტულ ჯგუფებს და მედიასაშუალებებს, თუმცა საქართველოში საბოლოო გადაწყვეტილებაზე ასევე დიდ გავლენას ახდენს ოჯახური განწყობა და ოჯახის ის წევრი, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფს ოჯახის კეთილდღეობას, ქართულ რეალობაში ეს არის მშობელი, 67% თვლის, რომ საბოლოო გადაწყვეტილებაზე ოჯახში მცხოვრები ახალგაზრდა ნაკლებად ახდენს გავლენას (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R5), როგორც კვლევამ აჩვენა, ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს: 66% ამომრჩევლის ოჯახებში მცხოვრები ახალგაზრდა არის დაუსაქმებელი (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R15), ამომრჩეველთა 32% ამბობს, რომ მის ოჯახში მცხოვრები ახალგაზრდა სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R17), ხოლო მათ გადასახადს 25% - ის თქმით, იხდის მშობელი, სახელმწიფო გრანტით - 6%, ხოლო თავად ახალგაზრდა - 2% (იხილეთ N2 კვლევის შეკითხვა R18) ეს ყოველივე კი ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად იმისა, რომ თაობებს შორის შეიძლება არსებობდეს განსხვავებული ფასეულობები და პოლიტიკური შეხედულებები, თუმცა ახალგაზრდების უმრავლესობა რჩევნებზე იღებს იმ გადაწყვეტილებებს, არასაც მშობელი.

ინფორმაციისადმი ადამიანის სოციალურ ინტერესს ღრმა პრაქტიკული და ფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს, რომელიც ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გაზიარებული. ქვემოთ ამოტივრული წარწერები, პაპირუსის სიგელები და ა.შ დოკუმენტურ ინფორმაციას წარმოადგენენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ბიბლიური მცნება: „არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა- (მეორე სჯულის წიგნი, 5,17) ინფორმაციის გამოყენების წესსა და მის სიცრუეზე რეაქციას მიუთითებს. საზოგადოებრივ ევოლუციაში სამი გლობალური ფაზა შეიძლება გავარჩიოთ: 1. პრიმიტიული, ანუ არქაული საზოგადოებრივი წესრიგები; 2. ქალაქებში კონცენტრირებული მაღალი კულტურები; 3. თანამედროვე ტექნიკურ - ინდუსტრიულ საფუძველზე მოქმედი საზოგადოების სისტემა. ერთი შეხედვით, ეს ტიპები, მათი მასშტაბისა და კომპლექსურობის თვალსაზრისით, საგრძნობლად განსხვავდება ერთიმეორისაგან. არქაული საზოგადოებრივი სისტემები მცირე ზომისანი არიან. ისინი ან ერთიან ცხოვრების წესს და საბინადრო სივრცეს, ან ნათესაობას ეფუძნებიან. მათ თითქმის ყველა სტრუქტურული მონაპოვარი თანადადმსწრეთა შორის კონკრეტული ინტერაქციით შეუძლიათ გამოხატონ. არქაულ საზოგადოებრივ სისტემათა შემთხვევაში წარმოსადგენია, რომ ყველა ყველასთან ურთიერთობს. მათი საზღვარი კი იქ გადის, სადაც უშუალო კონტაქტში კონკრეტული ინტერაქცია არასათუო ხდება.

მაღალი კულტურები ქალაქთა წარმოშობასთან ერთად ჩნდებიან. ქალაქში შესაძლებელია ინტერაქციის შემჭიდროვება, ამავე დროს, მისი დიფერენცირებაც. ჰორიზონტალურად ინტერაქცია ფუნქციურ სფეროებად განიყოფება, უპირველეს ყოვლისა, რელიგიად, პოლიტიკურ თანამდებობებად, შრომის დანაწილების შესაბამისად ორგანიზებულ წარმოებად და ვაჭრობად. ვერტიკალურად კი, იგი სოციალურ ფენათა მიხედვით განიცდის დიფერენციაციას. ამასთან, უმაღლესი ფენები შედარებით მცირე ზომისანი რჩებიან (ეკონომიკური მიზეზებით კიდევაც უნდა დარჩნენ ასეთებად). ამიტომაც მეტროპოლში ჯერ კიდევ შესაძლებელია, რომ საზოგადოების სხვადასხვა ფუნქციური სფერო ერთმანეთთან ინტერაქციის მეშვეობით კოორდინირდებოდეს. XVIII და XIX საუკუნეებიდან მოყოლებული - ნაბიჯ - ნაბიჯ დამკვიდრდა მსოფლიო მასშტაბის კომუნიკაციის შესაძლებლობანი. პოლიტიკურ ზეგავლენათა და პერსპექტივათა ქსელმა მთელი დედამიწა მოიცვა.

მაღალ კულტურაზე გადასვლის შესაძლებლობას პირველად წერილობითი კომუნიკაციის განვითარება წარმოშობს. დამწერლობას ის გადაწყვეტი ტექნიკური უპირატესობა აქვს, რომ იგი კომუნიკაციის პროცესს თანდასწრების პირობისაგან ათავისუფლებს. ამიტომაც დამწერლობას შეუძლია გაცილებით უფრო დიდი სივრცითი და დროითი მანძილები მოიცვას; მას შეუძლია უცნობად დარჩენილ პარტნიორებს მიაღწიოს და გვერდს უვლის ინტერაქციულ ორმხრივობათა და კონტროლთა მჭიდრო ქსელს. ამით საზოგადოების სოციალურ სისიტემაში კონტროლის დეფიციტი ჩნდება, რაც თანდათან ახლად განვითარებულ კომუნიკაციის კოდებითა და სისწორის კრიტერიუმით ივსება: მაგალითად, ლოგიკისა და მეცნიერულობის კრიტერიუმით, რელიგიისა და სამართლის ზნეობრივი თვალსაზრისით განზოგადებული პრინციპებით, ეკონომიკური გამოთვლის აბსტრაქტული პროცედურებითა და სხვ., კომუნიკაციის სახეთა საფუძველზე კულტურა აბსტრაქციის ზეწოლას განიცდის. მის შედეგებს კი ჩვენს ბიბლიოთეკებსა და არქივებში შეიძლება გავვინოთ. ეგრეთ წოდებული მასობრივი მედიის რეპროდუქციის ტექნიკამ კომუნიკაციის ყველაზე გვიან განვითარებული სახით, დამწერლობით, დაიწყო, თუმცა კი ამის შემდეგ, ევოლუციის ჯაჭვი ერთგვარად უკან დატრიალდა და სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის დახმარებით ზეპირი სიტყვის, შემდეგ კი თვით არაენობრივი კომუნიკაციის მთლიანი გამოსახულების შემოერთება მოხდა. რეპროდუქცია არღვევს თავად ენის საზღვრებს და შეძლებისდაგვარად, ხდომილების უნატიფეს ნაკვეთებსაც კი აშუქებს. ამგვარად, ინფორმაცია დაკავშირებულია ასახვასთან. იქ, სადაც ასახვის პროცესი მიმდინარეობს, ადგილი აქვს ასევე ინფორმაციულ პროცესებსაც. ასახვისთვის მნიშვნელობა არ აქვს გამოიყენება თუ არა ცნობა რაიმე ამოცანის გადასაწყვეტად, ინფორმაციისთვის კი პირიქით. ასახვის პრობლემისათვის მიძღვნილ მრავალ ნაშრომში ჩანს, რომ ინფორმაცია მჭიდრო კავშირშია პრაქტიკასთან. ამ თვალსაზრისით ინფორმაცია არის „მოქმედი“, „მუშა- ნაწილი. მართალია, ინფორმაცია მჭიდრო კავშირშია და გადაკვეთს ასახვას, მაგრამ ეს ორი ტერმინი ერთი და იგივე არ არის. ასახვა მოიცავს ინფორმაციას, მაგრამ არ ემთხვევა მას. თუ ასახვა შეიძლება დამოუკიდებლად არსებობდეს, ინფორმაცია ასახვის გარეშე არ არსებობს, ამასთან, ინფორმაცია დაკავშირებულია

აქტიურ ასახვასთან. აქტიური ასახვა კი შეუძლია მხოლოდ დასრულებულ ინფორმაციულ წარმონაქმნს. ასახვა ინფორმაციის რეცეფციის ელემენტია.

დღევანდელი საზოგადოების ნებისმიერ მნიშვნელოვან ფუნქციურ სისტემას სისტემის საკუთარი კოდი აქვს. მაგალითად, ეკონომიკური სისტემა საკუთრებისა და ფულის კოდებით ოპერირებს, რომლებიც ქონა - არქონის განსხვავებას ეფუძნება; მეცნიერების სისტემა - ჭეშმარიტება - არაჭეშმარიტების დიფერენცირებით ხელმძღვანელობს, ბინარული ლოგიკის მოშველიებით; ხელოვნებამ უნდა შეძლოს მშვენიერისა და უშნოს გარჩევა, პოლიტიკამ - ძლიერისა და სუსტის განსხვავება. ასეთი კოდები შემდგომ მათთვის ატრიბუტების სახით მინიჭებული მეორეული სიმბოლოებით აღიჭურვებიან: სიტყვათა ველებით, იდეოლოგიებით: თეორიებით მეცნიერების სფეროში, პროგრესული ან კონსერვატიული იდეოლოგიებით პოლიტიკაში, სტილისტური მიმართულებებით ხელოვნებაში, ინვესტიციათა კომპლექსებით, ანუ „წარმოებით- ეკონომიკაში. კოდები თანამედროვე საზოგადოებას მიწოდება თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით. საზოგადოებრივ საზრისებში მედიასაშუალებები სწორედ შეტყობინებებით, კოდებით, სიმბოლიკით აღწევენ, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიის დადებით საყოველთაო დისკურსს. იდეოლოგია არ არის მხოლოდ გაბატონებული კლასების სამფლობელო; იგი შეიცავს რწმენის სისტემებს, ღირებულებებს, სიმბოლოებს, მითოსს, მიზნებს, მოტივაციებს და, შესაბამისად ამისა, ყველა სოციალურ სისტემაში აღმოჩნდება. იდეოლოგია ნებისმიერი პერსონის ინტელექტუალური რეზერვუარია და მიუხედავად მათი პოზიციებისა, მათი პრესტიჟის, ძალაუფლების გამოხატველია. იდეოლოგიის საყოველთაო ჰეგემონიად ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სიმბოლოებს, რომლებიც საზოგადოების საზრისებში მარტივად აღწევს და ხელს უწყობს რომელიმე იდეოლოგიის მიმართ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ნარატივის შექმნას. თავად ადამიანის შიდა რეალობა გარე, საგნობრივი სამყაროსგან ძალზე განსხვავდება. თავის თავში არსებულის, ნივთიერისგან განსხვავებულის, გაურკვევლისა და მიუწვდომლის არა მარტო წვდომას, არამედ გარე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სინამდვილესთან ადექვატურ მორგებას ადამიანი ისევ შიდა უნარით, წარმოსახვით ცდილობს. საყრდენი, თუნდაც დროებითი, რომელიც მოუხელთებელ, უცნობ ტერიტორიასთან მიახლებს საშუალებას გვაძლევს, როგორც ნიციშე აღნიშნავდა, წარმოსახვის ან ფანტაზიის ნაყოფია და ასეთად სიმბოლო ან მეტაფორა წარმოსდგება. სიმბოლო კი ყოველთვის ორმაგი ბუნებისაა (ძველ ბერძნებთან სიტყვა symbolon-ის თავდაპირველი მნიშვნელობაც – ორად გადატეხილი ჯოხისა თუ ჩხირის ნაჭერი – „ორობითობას“ გულისხმობდა). ის, ე.ი. ცნობიერებაში „ჩამჯდარი“ სიმბოლო, როგორც წესი, ორი, გარე და შიდა სინამდვილის ერთდროულად გაწვდომას ცდილობს.

რაც შეეხება პოლიტიკურ მითს, თუ სხვადასხვა იდეოლოგიას დავაკვირდებით, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური მითის არსებობა ერთგან დეტერმინებულია ბურჟუაზიის მიერ და გამოყენებულია, როგორც პროლეტარიატის ჩაგვრის იარაღი, ხოლო მეორეგან თემატიზირება ნაციონალური განსაკუთრებულობა, რომელიც სხვა ალტერნატიულ კულტურულ - ნაციონალურ სამყაროებს მტრად აღიქვამს. ერთ-ერთი ადრეული მოხსენიება პოლიტიკური მითისა გვხვდება პლატონის „სახელმწიფოში- მე - 3 წიგნში პლატონი განიხილავს ათენული საზოგადოების დანაწილების იდეას, რომელიც სახელმწიფოს მართვის სისტემის საფუძველი უნდა გახდეს. აქედან გამომდინარე, იგი საზოგადოებას ყოფს მმართველებად (სახელმწიფოს უმაღლეს პირებად) და დამხმარეებად. საზოგადოების პლატონისეული აღწერა შედარებით თავისუფალია ნეპოტიზმისაგან. საზოგადოების კლასთა შორის მობილურობა დაფუძნებულია მხოლოდ დამსახურებაზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაზე საუკეთესო ინდივიდები უნდა გახდნენ მმართველები და სხვები გადანაწილებულნი უნდა იქნენ დაბალ კლასებს შორის მათი მემკვიდრეობითი პოზიციების გათვალისწინების გარეშე. პლატონი აქ ეყრდნობა მითს, რომლის თანახმადაც, იდეიდები ერთმანეთსაგან განსხვავდებიან თავიანთი სულიერი და ფიზიკური მოცემულობებით. ამის საფუძველია, რომ ზევსმა როცა შექმნა ადამიანები, მასალად გამოიყენა ოქრო, სპილენძი და რკინა. საუკეთესო ინდივიდები თავიანთი სულიერი განწყობით და შეხედულებებით ოქროს შეიცავენ, ხოლო ნაკლები უნარის მქონენი სპილენძსა და რკინას. პლატონის „ჯადოსნური მითი- ჯერ კიდევ წარსულში იყო გაკრიტიკებული. ნათელია, რომ პლატონი პოლიტიკურ პროპაგანდას ეწევა. მსგავსად მითისა და იდეოლოგიისა, დასაჯერებელი ქმედება უფრო მისაღებია დასარწმუნებელისადმი, თუ დარწმუნების მექანიზმში რაღაც აუხსენლი ან მისტიკური თემა თემატიზირდება. პლატონი ამგვარად ხვდება, რომ მითი არის ამზავი, რომელიც ვიღაცის მიერ გაცნობიერებულად არის შექმნილი. პლატონისათვის ამკარაა, რომ პოლიტიკური სისტემები ითხოვენ ზებუნებრივ ამბებს მათ გასასამართლებლად.

ამასთან მნიშვნელოვან, როგორც დადებით, ასევე უარყოფით გავლენებს ახდენს საზრისებზე რელიგია, რომელიც არის დამოკიდებულება მყარ ღირებულებებთან, ეს დამოკიდებულება, შეიძლება, ან ნებაყოფლობითი იყოს, ან - არა. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, შესაძლოა, ძლიერი ენერგიით დატვირთული ფაქტორით, ანუ „ღირებულებით“ ან არაცნობიერად იყოს შეპყრობილი, ან მას აცნობიერებდეს. პრიმიტიული ხალხების გამოკვლევა აჩვენებს, რომ ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, შეპყრობილი არიან ბავშვური ყოვლადძლიერების რწმენით და, ამდენად, სულიერ წარმოქმნათა დიდი რაოდენობა უნდა გავიგოთ, როგორც მცდელობა ამ ყოვლადძლიერების დარღვევათა უარყოფისა და, ამგვარად, აფექტურ ცხოვრებაზე რეალობის ზემოქმედებისაგან დაცვა, სანამ რეალობას უკეთესად დაეუფლებოდნენ და დაკმაყოფილებისათვის გამოიყენებენ. უსიამოვნების თავიდან მოშორების პრინციპი ბატონობს ადამიანის ქცევაზე მანამ, სანამ ის გარე სამყაროსადმი შეიცვლებოდეს უკეთესი შეგუებით. ადამიანის სამყაროს პროგრესული დაუფლების პარალელურად ვითარდება მისი მსოფმხედველობა, რომელიც სულ უფრო და უფრო შემობრუნდება საწყისი ყოვლადძლიერების რწმენიდან და ანიმისტური ფაზიდან რელიგიურის გზით მეცნიერულზე ადის. ამ დაკავშირებაში ერთიანდება მითოსი, რელიგია და ზნეობა, როგორც მცდელობანი შექმნან კომპენსაცია ნაკლოვანი სურვილის დაკმაყოფილებისათვის. „მაინ კამპის- უმთავრესი მახასიათებელი სიძულვილია. თუკი მარქს - ენგელს - ლენინის შრომები კლასობრივ სიძულვილს აღვივებდნენ, ჰიტლერის ნაშრომი რასობრივი სიძულვილის გაღვივებისაკენაა მიმართული. მსოფლიო ჯუნგლია, სუსტები იქ ვერ ძლებდნენ. მხოლოდ ძლიერებსა და შეუბრალებლებს აქვთ არსებობის უფლება! გერმანიაც ძლიერი და შეუბრალებელი უნდა გახდეს, რათა გამიარჯვოს. საამისოდ კი რასობრივი სიწმინდეა აუცილებელი. ამის ყოველგვარი, თუნდაც ყველაზე დაუნდობელი, მეთოდებით უნდა მივაღწიოთ, „მომავალ ბრძოლებში ის რასა გამიარჯვებს, რომელიც გათავისუფლდება ბალასტიკიდან, შეუბრალებელი და შეურიგებელი იქნება“, - ქადაგებს მომავალი ფიურერი. ხალხის მასების სამართავად მრავალი თეორია არსებობს. მაგალითად, ანტონიო გრამშის თეორიული შრომის ძირითად პრინციპს წარმოადგენს კულტურული ჰეგემონიის იდეა. კულტურული ჰეგემონია ახალი უსისხლო ტიპის რევოლუციის თეორიაა, რომლის საშუალებითაც დანგრეული უნდა იყოს სახელმწიფო მმართველობის მექანიზმი და ერთი სოციალურ - პოლიტიკური წყობა მეორეთი შეიცვალოს. ანტონიო გრამშის თეორიის ძირითადი პრინციპები წარმოდგენილია „ციხის დღიურებში“, რომელიც მან ციხეში დაწერა. ის მალულად გამოიტანეს ციხიდან და ესპანეთის გავლით მოსკოვში წაიღეს. პირველად მისი შრომები 1948 - 51 წლებში გამოქვეყნდა იტალიაში. (ამ აზრით შეიძლება ვთქვათ, რომ სახელმწიფო = პოლიტიკურ საზოგადოებას + სამოქალაქო საზოგადოება, სხვაგვარად თუ ვიტყვით, სახელმწიფო წარმოადგენს ჰეგემონიას, რომელიც იძულების ჯავშნით არის შემოსილი.). ჰეგემონია არ არის ერთხელ და სამუდამოდ მიღწეული მდგრადი მდგომარეობა, არამედ მოქნილი, დინამიკური და უწყვეტი პროცესია. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ჰეგემონია არა მარტო თანხმობას გულისხმობს, არამედ კეთილგანწყობილ თანხმობას, რომლის დროსაც მოქალაქეებს სურთ, ის რაც გაბატონებულ კლასს ან ფენას სურს. მაშასადამე, სახელმწიფო არის პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობის მთელი ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც მმართველი კლასი (ან ფენა) ამართლებს და ინარჩუნებს თავის ბატონობას, ამასთან ერთად ცდილობს მიაღწიოს მართულების აქტიურ თანხმობას. მაშასადამე, ჰეგემონია გულისხმობს თუ როგორ მართო ფარულად, ისტორიის კონტინუუმში სხვადასხვა გაბატონებული სოციალური ჯგუფის დროებითი კლასტერების მეშვეობით, არაძალადობრივი იძულების გამოყენებით (ეგრეთ წოდებული მასობრივი ან ხალხური კულტურის გამოყენების გზით) გაბატონებულ ფენას დაქვემდებარებული კლასები; ისე რომ, მათი ნების საწინააღმდეგოდ მოახდინო დაქვემდებარებული ჯგუფების მანიპულაცია, მაგრამ მათი თანხმობით, საზოგადოების უმცირესობის ინტერესების შესაბამისად. ისტორიული მატერიალიზმის გაგების კონტექსტში გრამშის კონცეფცია გაცილებით უფრო დახვეწილია, ვიდრე ლენინის, სტალინის, ტროცკის ან სხვა რუსი სოციალ - დემოკრატი ბოლშევიკების ძალადობრივი რევოლუციური პრაქტიკა. მოლევკულური თეორია აქცენტს უმთავრესად არაძალადობრივ ინტელექტუალურ მოქმედებაზე აკეთებს. ის გვევლინება არა როგორც კლასობრივი ძალების შეჯახება, არამედ როგორც უხილავი, ყოველ ადამიანში განწყობილებებისა და თვალსაზრისების, მცირე დოზებით, მიმდინარე ცვალებადობა. ჰეგემონია საზოგადოების კულტურულ ღერძს ეყრდნობა, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს შეხედულებათა და მსოფლმხედველობების ერთობლიობას: ადამიანისა და სამყაროს, სიკეთისა და ბოროტების, მშვენიერებისა და სიმახინჯის, ტრადიციებისა და ცრურწმენების, სიმბოლოებისა და სახეების, ცოდნისა და მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების სინთეზს. ამ კულტურული ღერძის სტაბილურობა განაპირობებს არსებული წესრიგისა და საზოგადოების კოლექტიური ნების მდგრადობას. გრამშის თანახმად, „აქედან გამომდინარეობს კულტურული

ასპექტის –მნიშვნელობა– პრაქტიკულ (კოლექტიურ) მოქმედებაში. ნებისმიერი ისტორიული აქტი „კოლექტიური ადამიანის– მიერ შეიძლება იყოს გახორციელებული და ისეთი „კულტურულ–სოციალური– ერთობის მიღწევას გულისხმობს, რომლის დროსაც მრავალი განცალკევებული სურვილები, რომლებიც სხვადასხვა მიზანს ისახავს, ერთიან მიზნად ჩამოყალიბდება ერთნაირი და ერთგვაროვანი მსოფლმხედველობის საფუძველზე - არ აქვს მნიშვნელობა ზოგადი იქნება თუ კერძო, დროებითად მოქმედი, ემოციური, თუ მუდმივი, როცა ამ მსოფლმხედველობის ინტელექტუალური საფუძველი ისე გაიდგამს ფესვებს, ასიმილირდება და გამოიცდება, რომ ლტოლვად/ვნებად (passion) გადაიქცევა. კულტურული ღერძის რა მექანიზმზე უნდა მოვახდინოთ ზემოქმედება, რომ შევინარჩუნოთ ან დავანგრიოთ ჰეგემონია? „გრამშის აზრით, სულაც არ არის საჭირო ზემოქმედება განვახორციელოთ მოწინააღმდეგის თეორიაზე. გრამშის თვალსაზრისით, საჭიროა ზემოქმედება მოვახდინოთ ყოველდღიურ ცნობიერებაზე (სადი აზრის პოზიციაზე), საშუალო ადამიანის „პატარა–აზრებზე. ყველაზე აქტიური ხერხი ზემოქმედებისა არის ერთი და იგივე მსჯელობის ხშირი გამეორება, იმისთვის, რომ მას მიეჩვიონ და მისი აღქმა დაიწყონ არა გონივრულად, არამედ რწმენით. გრამშის თვალსაზრისით, აქედან გამომდინარეობს ის, რომ „მასებს არ შეუძლიათ აითვისონ ფილოსოფია სხვაგვარად, გარდა რწმენისა–. გრამში ყურადღებას აქცევს რელიგიურ პრაქტიკას, რომელიც რელიგიურ რწმენას ლოცვებისა და წირვის მრავალჯერადი გამეორების გზით აძლიერებს. „ბატონობა– და „ძალები– მუდამ არსებობს. მათი წარმოქმნა ადამიანს არც შეუძლია და არც სჭირდება. ჩვენ უბრალოდ ერთი რამ გვმართებს - ავირჩიოთ „ბატონი–, რომელსაც ვემსახურებით და რომლის მსახურებაც იმ „სხვისი– ბატონობისაგან დაგვიცავს, რომელიც ჩვენ არ აგვირჩევია. „ღმერთს– არ ქმნიან, მას ირჩევენ. ჩვენი არჩევანი განსაზღვრავს და ახასიათებს „ღმერთს–, მაგრამ ეს არჩევანი ხომ ადამიანის ნებაა და ამდენად, სასრული და არასრულყოფილი (სრულყოფილების იდეა სრულყოფილებას ვერ გამოხატავს). განმარტება სურათ - ხატია, რომელსაც ამ სურათ–ხატით გამოხატული უცნობი ფაქტი ვერ შეჰყავს იმ ველში, სადაც მისი გაგება შესაძლებელი იქნებოდა; წინააღმდეგ შემთხვევაში შევძლებდით გვეთქვა, რომ ადამიანმა ღმერთი შექმნა. „ბატონი–, რომელიც ავირჩიეთ, იმ სურათ–ხატის იდენტური არ არის, რომელიც დროსა და სივრცეში მოვახვით. სულის სიღრმეში ის კვლავაც ისე მოქმედებს, როგორც უცნობი სიდიდე. ტეტჩერი ამბობდა: „ყველა სახელმწიფო მოღვაწე, როგორი პოლიტიკური შეხედულებისაც არ უნდა იყოს, რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს და რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ცხოვრობდეს, თავისი მოღვაწეობის დროს ცდილობს, პასუხი გასცეს ორ ფუნდამენტურ საკითხს,- როგორ ჩაიგდონ ხელთ ძალაუფლება და, როცა ეს მოხდება, როგორ შეინარჩუნოს იგი. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მეორე კითხვაზე პასუხის გაცემა გაცილებით მეტ ძალისხმევას მოითხოვს.- ასევე, რონალდ რეიგანი თავისი ბიოგრაფიიდან იხსენებს: „ჯეიმს მედისონის 1788 წლის სიტყვები მახსოვდა:„,რაც ცივილიზაცია არსებობს, ხელისუფლება უფრო ხშირად ჩუმად და ნელა იჭრება და არღვევს ადამიანთა თავისუფლებას და უფრო იშვიათად- მოულოდნელად და ძალმომრეობით უზურპირებს ხალხის თავისუფლებას.“ მისი მეგობარი თომას ჯეფერსონიც ასევე ფიქრობს. „რა არღვევს ადამიანთა თავისუფლებას და უფლებებს ყველა ხელისუფლებაში, რაც კი ამ მზის ქვეშ არსებობს?“ - გვეკითხება ის და თვითონვე გვპასუხობს; „ყველა ძალისა და საზრუნავის ერთ სხეულში განზოგადება და კონცენტრირება.“ როცა გუბერნატორი ვიყავი, გამოვცადე როგორ ახერხებდა ბიუროკრატია, ყველა ძალის და საზრუნავის ერთ სხეულში კონცენტრირებას“

